# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 18 დეკემბერი, 2012 წელი.

№242 (7118)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბეჭდვები სიფცვაა, ფცუილებით და ჭიანებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

## თუ ოსმანა ③ და ალია ორივე თათარია!..

## მაგთიკომმა ქართულ ეკონომიკაში მილიარდ ას მილიონზე მეტი – 1 108 000 000 ლარი შეიტანა

### 2012 წლის 18 დეკემბრის მდგომარეობით

2012 წლის 22 სექტემბერს მაგთიკომს ოპერირების 15 წელი შეუსრულდა. დაარსებიდან 16 წლის შემდეგ კომპანიის შედეგები ასეთია:

მაგთიკომის 2 მილიონზე მეტ მომხმარებელს საქართველოს ყველა ქალაქსა თუ სოფელში უმაღლესი ხარისხის მობილური და ფიქსირებული ტელეფონით, მაღალსიჩქარიანი უსადენო ინტერნეტითა და თანამგზავრული ტელემაუწყებლობით სარგებლობის საშუალება აქვს!

მაგთიკომის წილი ქართულ ეკონომიკაში კვლავაც უპრეცედენტოა. 2012 წლის 18 დეკემბრის მდგომარეობით, მაგთიკომმა ქართულ ეკონომიკაში მილიარდ ას მილიონზე მეტი – 1 108 000 000 ლარი შეიტანა.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული თანხა მხოლოდ კომპანიის უშუალო წვლილია და მასში არ შედის მაგთიკომთან დაკავშირებული სატელიტური ფირმების შენატანები ქვეყნის ეკონომიკაში.


იხ. 2 გვ.


⊙ საზოგადოება მოითხოვს!

## სანამ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე იქნება ლევან გახელაძე, ტყუილია ლაპარაკი საზოგადოებრივი მაუწყებლის თვალის გახელაზე...

**ხო იყო სიმღერა, ყვავილების ქვეყანა ჩოქვით შემოვიარეო, ახალ დროში ამ სიმღერამ ახალი სახე მიიღო – ტყუილების ქვეყანა ჩოქვით შემომატარესო... აი, ამ შემომტარებელთა შორის, ტყუილების ქვეყნის ჩოქვით შემომტარებელთა შორის, საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის გია ჭანტურიას გარდა, ამავე მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ლევან გახელაძეა, რომელიც იგივე გია ჭანტურიაა, ისევე როგორც გია ჭანტურიაა იგივე ლევან გახელაძე.**

ამიტომ სანამ დროა, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ჭანტურია და გახელაძე ისევ ტყუილების ქვეყანაში აპირებენ ჩვენს ტარებას, ოღონდ ეგ არის, ახალი, ბევრად უფრო „მამალი“ ტყუილების ქვეყანაში, რომლის მომავალ მიწისძვრებზე გათვლილ საძირკველსაც ესოდენი თავგამოდებით „ადუღაბებს“ ამჟამინდელი საპარლამენტო უმცირესობა აკუ-გოკა-ჩიორების მეთავეობით.

ანდა განა იმ სამეურვეო საბჭოს შენარჩუნება იქნება სწორი და მართალი, რომლის თავმჯდომარეც ნაციონალების ქვასალესავზე პირაწყობილი ლევან გახელაძეა?! თუნდაც მარტო ოცდაოთხსაათელი მამუკა ფაჩუაშვილი კმარა იმის დასტურად, რომ ეს ეგრეთ წოდებული ბორდი თუ სამეურვეო საბჭო თავიდან ბოლომდე გამოსაცვლელია. რატომ? ახლავე მოგახსენებთ.

თვალებს არ ვუჯერებდი და ყურებისთვისაც არ მინდოდა იმის დაჯერება, რაც ამ დღეებში ჟურნალისტურმა გამოძიებამ – „მონიტორმა“ გვამცნო. ეს ჩვენი პატიოსნებაზე თავდადებული ნაციონალთაგან მონოპოლისტად ხელდასხმული ოცდაოთხსაათელი დამფუძნებელ-რედაქტორები მამუკა ფაჩუაშვილი და პაატა ვეშაპიძე, რომლებიც ეს ბოლო ცხრა წელიწადი ნაციონალურად შეჯავშნულები გვმოძღვრავდნენ და ყურებით მზისკენ გვეწეოდნენ, ჩვენი არ იყოს, თქვენც პატიოსნები უნდა გაგხადოთო, თურმე ქვეყნიდან გაქცეულ „კორუფციასთან მებრძოლ“, პრეზიდენტ სააკაშვილის ჯილა დიმა შაშკინთან იყვნენ შეკრულები და მთელი სასკოლო სახელმძღვანელოების ინდუსტრიას აკონტროლებდნენ (მარტო სატენდერო განცხადებების მონოპოლიურად ბეჭდვა, როგორც ჩანს, ვერ აკმაყოფილებდათ!) ანუ, ფაქტობრივად, საიდუმლო რამ პოლიგრაფიული საწარმოს ფლობდნენ და სასკოლო სახელმძღვანელოების საბაბით პირდაპირ „მილიონებს ბეჭდავდნენ“, რაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ ორი „უპატიოსნესი“ ჟურნალისტის უფსკრულებრ უძირო ჯიბეებში არ ჩაჩხრიალებდა...

პოეტის ცნობილი სტრიქონი ცოტა გადასხვაფერებული რომ მოვიშველიოთ, – დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს – ისევ ნაციონალური საზოგადოებრივი მაუწყებლობისთვის, ბიჭებო, სწორდით! ეს ბიჭები კი არიან ისევ გ.ჭანტურია, ისევ ლ.გახელაძე, ისევ მ.ფაჩუაშვილი, ისევ პ.ვეშაპიძე, ისევ... ისევ... ისევ...

მერედა, ივარგებს ისევ ეს სწორება, ბატონებო?!.

**გურამ წიკლაური,**
ვეტერანი ჟურნალისტი.

## ⑨ როგორ დავკარგე ტარიელ ჭანტურია!..

## ⑥ სჭირდება დღევანდელ საქართველოს მეცნიერება?


PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ წერილი პარლამენტს

# საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს

## მემორიალის აფეთქების მესამე წლისთავს ეძღვნება

ბატონო დავით,

გიდასტურებთ ჩემს პირად პატივისცემას და გაცნობებთ, რომ მე და ჩემმა თანამოაზრეებმა, გავითვალისწინეთ რა საქართველოს მოსახლეობის განწყობა, რაც ნათლად გამოიხატა 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, დავიწყეთ პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება.

ჩვენ ვთვლით, რომ ქვეყნისთვის უაღრესად საშიშია, პირდაპირ ვიტყვი, საგანგაშოა, როცა საქართველოს პრეზიდენტი, უმაღლესი მთავარსარდალი, თავს ოპოზიციად აცხადებს და უპირისპირდება საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობით არჩეულ ხელისუფლებას და მთავრობას.

ჩვენ გადავწყვიტეთ 2012 წლის 19 დეკემბერს გეწვიოთ ქუთაისში. 19 დეკემბერი მართლაც ტრაგიკული დღეა. 3 წლის წინათ, ნიკოლოზობა დღეს, ქუთაისში ააფეთქეს „ქართულ ბიბლიად და ფილოსოფიურ ტრაქტატად“ შერაცხილი მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის და არქიტექტორ ოთარ კალანდარიშვილის ხელთქმნილი დიდების მემორიალი. აფეთქებას შეეწირა უმანკო ბავშვისა და მისი დედის სიცოცხლე. სამწუხაროდ, ამ ცოდვილ ადგილზე აიგო საქართველოს პარლამენტის შენობა.

მომზადებულია დიდების მემორიალის ისტორიის ამსახველი წიგნის „დაუჯერებელი სინამდვილის“ მეორე გამოცემა პერსონალურად პარლამენტის წევრებისათვის, რომელსაც გადმოგცემთ ჩვენი ჩამოსვლისას.

ბატონო დავით, გთხოვთ, გვეწვიოთ აქციაზე პირადად თქვენ და პარლამენტის წევრები. აქცია შედგება 19 დეკემბერს, 14 საათზე, ზუსტად იმ ადგილზე, სადაც იდგა დიდების მემორიალი.

და მთავარი. იმის გათვალისწინებით, რომ 19 დეკემბერი სასესიო დღეა, გთხოვთ, დამდოთ პატივი და მომცეთ შესაძლებლობა 5-წუთიანი სიტყვით მივმართო საქართველოს პარლამენტს.

პაგივისცემით,
„გაერთიანების მემორანდუმში“ წარმოდგენილი ოცდაათი ორგანიზაციის სახელით, არასამთავრობო ორგანიზაცია „ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისათვის“
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე,
მშვიდობის მსოფლიო ელჩი, კინორეჟისორი
**რეზო ჩხეიძე**

### ანონსი

19 დეკემბრის ნომერში გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ბეჭდავს ვრცელ წერილს დიდი ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის აფეთქებული „დიდების მემორიალის“ და თბილისის ცენტრიდან გაქცეული წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის ძეგლის თაობაზე.

მრავალრიცხოვანი მკითხველის სახელით, ჩვენი რედაქცია საქართველოს პარლამენტს სთხოვს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ხვალინდელ პუბლიკაციაში წამოჭრილ პრობლემებს და ხალხის ერთსულოვან მოთხოვნას.

◎ მოგზილური კავშირი

# მაგთიკომმა ქართულ ეკონომიკაში მილიარდ ას მილიონზე მეტი – 1 108 000 000 ლარი შეიტანა

## 2012 წლის 18 დეკემბრის მდგომარეობით

(პირველი გვერდიდან)

**კომპანიის წარმატებებისა და მომავალი გეგმების შესახებ გვესაუბრება მაგთიკომის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დირექტორი ნინო სურგულაძე.**

**– რა არის მაგთიკომის წარმატების ფორმულა?**

–1997 წელს მაგთიკომმა ოპერირება ერთი ბრენდით დაიწყო, მაგრამ გასცდა მობილური კავშირგაბმულობის საზღვრებს და თხუთმეტწლიანი გამოცდილებითა და საქართველოს საკომუნიკაციო ბაზარზე სტაბილურად მოწინავე პოზიციით დღეს 5 ბრენდით არის წარმოდგენილი.

ინოვაციებისკენ სწრაფვა, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა და გამოცდილება მაგთიკომის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები გახდა.

**– რაში გამოიხატება კომპანიის მთავარი მიღწევები?**

– მაგთიკომი დღეს საქართველოში ერთადერთი კომპანიაა, რომელსაც შესაძლებლობა აქვს, მომხმარებელს ერთდროულად შესთავაზოს მობილური და ფიქსირებული ტელეფონი, უსადენო ინტერნეტი და თანამგზავრული ტელემაუწყებლობა.

განვითარების ასეთი დონე მიუთითებს, რომ მაგთიკომი მსოფლიო კლასის კომპანიათა რიცხვს მიეკუთვნება.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს მაგთის ხარისხი, რომელსაც 2 მილიონზე მეტი მომხმარებელი ირჩევს, როგორც სანდო, საიმედო და შეუფერხებელი კავშირის გარანტიას.

**– რა არის კომპანიის მთავარი პრიორიტეტები?**

– მაგთიკომის მთავარი პრიორიტეტი იყო და რჩება მომხმარებელი და მისი კმაყოფილებისთვის ზრუნვა. ჩვენ მუდმივად ვსწავლობთ ბაზარს, მომხმარებლის საჭიროებებს და ამის გათვალისწინებით ვთავაზობთ მას შესაბამის მომსახურებას.

კომპანია თავისი ქოლგის ქვეშ გაერთიანებული ბრენდების: მაგთის, ბალის, ბანის, მაგთი ფიქსისა და მაგთისატის საშუალებით დროისა და მოთხოვნის ადეკვატურ მომსახურებას სთავაზობს თავის ერთგულ მომხმარებელს, რომლის რიცხვიც 2 მილიონს აჭარბებს.

პროფესიული საქმიანობის მიღმა, კომპანიის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას ზუსტად ეხმიანება დევიზი – „ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“. ამ ეგიდით მაგთიკომმა უამრავი პროექტი განახორციელა ქართული კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის, სპორტისა და სხვა დარგების პოპულარიზაციისა და მხარდაჭერის მიზნით.

**– როგორია სამომავლო გეგმები?**

– უწინარესად, მადლობას ვუხდით ჩვენს მომხმარებელს ერთგულებისთვის და ვპირდებით, რომ ჩვენი მომსახურება კვლავაც იქნება საიმედო და შეუფერხებელი კავშირის გარანტია.

ჩვენ მუდმივად ვცდილობთ, განვსაზღვროთ, თუ რომელი სერვისები არ არის ქართულ ბაზარზე, დავნერგოთ ისინი და შევთავაზოთ მომხმარებელს.

იმდენად, რამდენადაც დღევანდელ საზოგადოებას კომუნიკაციაზე არანაკლებად სჭირდება ინფორმაცია და გართობა, ჩვენ შემოგთავაზებთ სიახლეებს, რომლებიც მომხმარებლის ცხოვრებას უფრო მრავალფეროვანსა და საინტერესოს გახდის.

◎ ინფორმაცია

### ბიძინა ივანიშვილის საქმიანობას დადებითად 69 პროცენტი აფასებს, მიხეილ სააკაშვილისას კი – მხოლოდ 16 პროცენტი

**NDI-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვით, რესპონდენტთა 88% დადებითად საქართველოს პატრიარქ ილია მეორის საქმიანობას აფასებს.**

**რაც შეეხება ცალკეულ პარტიებსა და ინსტიტუტებს, გამოკითხულთა 65% კოალიცია „ქართული ოცნების“ მუშაობას საერთო ჯამში დადებითად აფასებს, 55% – საქართველოს ჯარის, 52% კი საქართველოს პოლიციის, 23% – პარლამენტის საქმიანობას, 24% კი – საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის.**

**რაც შეეხება სასამართლოებს, მხოლოდ 16%-ის აზრით მუშაობს ეს ინსტიტუტი კარგად, 34% ფიქრობს რომ საშუალოდ, ხოლო 13%-ის აზრით, ძალიან ცუდად.**

### ზურაბ აბაშიძე – პირველმა შეხვედრამ გვაჩვენა, რომ დიალოგი შესაძლებელია

**პირველმა შეხვედრამ გვაჩვენა, რომ დიალოგი შესაძლებელია, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობაში ზურაბ აბაშიძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე, გრიგორი კარასინთან შეხვედრის კომენტირებისას განაცხადა.**

**მისი თქმით, ეს იყო პირველი ასეთი კონტაქტი მრავალი წლის შემდეგ, რაც საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და რუსეთის პრეზიდენტის დავალებით გაიმართა. ზურაბ აბაშიძის შეფასებით, ასეთი პირველი კონტაქტის კვალობაზე შეხვედრა ცუდი არ იყო და საქმიან ვითარებაში ჩაიარა.**

**როგორც პრემიერის სპეციალურმა წარმომადგენელმა აღნიშნა, შეხვედრაზე საუბარი შეეხო ჰუმანიტარული, კულტურული და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებისა და რეგულარული რეისების აღდგენას.**

**მისივე თქმით, დიალოგის ალტერნატივა მხოლოდ ჩიხი და მუდმივი დაძაბულობაა. ამავდროულად, აბაშიძის განმარტებით, დიალოგის პროცესი ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატს არ დააზარალებს.**

**– პირიქით, ჩვენ ვეცდებით ამ პროცესის გაძლიერებას. მოლაპარაკებები ია-ვარდივით მოფენილი გზა არ არის. ვიცით, რომ მოვისმენთ ბევრ მწვავე კრიტიკას სხვადასხვა პირებისგან, თუმცა იმედია, ეს პროცესი წარმატებით დასრულდება, – აღნიშნა ზურაბ აბაშიძემ.**

**მისივე ინფორმაციით, მორიგი შეხვედრის თარიღი მოგვიანებით დაზუსტდება, თუმცა, ამ ეტაპზე არსებული ინფორმაციით, ანალოგიური შეხვედრები დაახლოებით 2-3 თვეში ერთხელ, საჭიროების შესაბამისად გაიმართება.**

ინტერპრესნიუსი

# მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით აქციები გაიმართება

**პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით 19 დეკემბრიდან საქართველოს სხვადასხვა ქალაქში აქციები გაიმართება.**

აქციის ორგანიზატორები სხვადასხვა ორგანიზაციები არიან, რომლებმაც შესაბამისი მემორანდუმი გააფორმეს. ისინი გუშინ სასტუმრო „რედისონთან“ შეიკრიბნენ და ჟურნალისტებს მომავალი აქციების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს. როგორც ერთ-ერთი ორგანიზატორი მიხეილ ანდღულაძე აცხადებს, პირველი აქცია 19 დეკემბერს სასტუმრო „რედისონის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართება.

– სააკაშვილის რეჟიმმა აღმაშენებლის ძეგლს ხალხთან და ავტორთან შეუთანხმებლად, თვითნებურად ადგილი შეუცვალა, რის გამოც აქციას დავიწყებთ სწორედ აქედან. პროტესტი გაგრძელდება ქუთაისში 19 დეკემბერს, 14:00 საათზე. აქცია შედგება ზუსტად იმ ადგილზე, სადაც იდგა დიდების მემორიალი, – განაცხადა მიხეილ ანდღულაძემ.

მისივე თქმით, აქციები გაიმართება მარტვილში, ზუგდიდში, ფოთში, ოზურგეთსა და ბათუმში.

– ქართველი ხალხის მიზანია, 2013 წლის 4 იანვარს დამთავრდეს მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო მოღვაწეობა. სააკაშვილი ვეღარ შეძლებს თვითნებურად გაიხანგრძლივოს ვადა 2013 წლის ოქტომბრამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა საკონსტიტუციო ჩიხში შევა, – აცხადებს მიხეილ ანდღულაძე.

ინტერპრესნიუსი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სანამ სახედარი სატყუარას მისდევს

# თუ ოსმანა და ალია ორივე თათარია!..

წლების მანძილზე საქართველოს საგარეო კურსი მკაფიოდ გამოკვეთილი იყო — სწორება მხოლოდ დასავლეთსა და ნატოზე. იქამდეც კი, რომ ავღანეთში ჯერ რომ სხვაზე ბევრად მეტი ჯარისკაცი შევიყვანეთ, ახლა გამოსვლას არ ვაყენებთ საშველს, აქაოდა დიდებულ საბრძოლო გამოცდილებას ვიძენთო (თუმცა ამ ნანატრ გამოცდილებას ისევ ნატოსთვის სადმე შეყოლისთვის თუ გამოვიყენებთ, თორემ საჩვენო არაფერი ჩანს ხილულ თვალსაწიერში).

ისე ბულდოგივით ჩავაფრინდით ზემოთქმულ გენერალურ საგარეო კურსს, რომ მისგან ნაჯახით ამოვჩეხეთ რუსეთი, დავსახეთ იგი ჩვენს ისტორიაში უბოროტეს მტრად, რომლისგანაც არასოდეს ერთი ბეწვი სიკეთეც არ გვახსოვს. ნაციონალურმა ხელისუფლებამ იმდენი და იქამდე ხერხა რუსეთი, საქმე ომამდე მიიყვანა და ყელი გამოგვჭრა. არც შემდეგ მოისვენა და მილიონამდე ჩვენ თანამემამულესაც, რომლებიც სწორედ რუსეთში არიან გახიზნული ლუკმაპურის საშოვნელად, კიდე უფრო გაურთულა ცხოვრება.

ეს კურსი იყო მტკიცე და ურყევი, ვითარცა საღვთისმეტყველო დოგმატი. თუ მასში რაიმე ცვლილება მაინც ხდებოდა, მხოლოდ ამ მედასავლეთეობის უკიდურესი გამოკვეთა იყო: ბუშის ქუჩა და რეიგანის ძეგლი თბილისში, ისევ რეიგანის მინიატიურული, სამაგიდო ბიუსტი პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში ილია ჭავჭავაძის პორტრეტის ფონზე. საქმე იქამდე მივიდა, რომ ქართულმა სახელმწიფომ ფაქტობრივად ნებაყოფლობით თქვა უარი ქართულზე, როგორც სახელმწიფო ენაზე და იგი ინგლისურით ჩაანაცვლა. თვით ყოვლად უმნიშვნელო, ტილიანი მაღაზია-მარკეტის აბრებიც კი მხოლოდ ინგლისურად არის წარმოდგენილი. ამ მხრივ გარეგნულად უკვე დავემსგავსეთ სანატრელ ჰონკონგ. ესტრადა წალეკა ინგლისურმა ჯაგი-ჯუგმა:

ხელისუფლებაში მოგვიმრავლდნენ ამერიკული უმაღლესი სასწავლებლების მოკლევადიან კურსებზე განსწავლული თინეიჯერები, რომლებმაც ოკეანის გაღმა უკანმოუხედავად დატოვეს ქართული ჯიგარი. ამ მოღვაწეებმა არც რამე იცოდნენ ქვეყნის მართვის და ხალხთან ურთიერთობისა და, სიმართლეს თუ თვალებში შეხედავთ, არც სურდათ სცოდნოდათ, უბრალოდ, სძულდათ ხალხი — პლებსის, ასე უფრო იოლი იყო „მართვა“.

რაკიღა ქვეყნის მმართველ ელიტას უკვე უცხოეთი იძლეოდა (უცხოურდიპლომიანი გაცილებით უფრო ფასობდა) ქართული უმაღლესი სასწავლებლები საგანგებოდ ჩამოიმცრო, ავტონომია გაუუქმდა, დაფინანსება შეუმცირდა, იქ მომუშავე პროფესორ-მასწავლებლები, რომელთა შორის ცოტა როდი იყო საერთაშორისო დონის სპეციალისტი, ჩაირეცხნენ, ან სულაც გაყარეს, როგორც ჩვეულებრივი, რიგითი ხულიგნები.

ამდენად, რუსეთი გემბანს იქით დარჩა, დიდხანს და უიმედოდ. რუსულის მიმართულებით გვერდზე რაიმე ნაბიჯის გადადგმის სურვილიც კი სამშობლოს ღალატად ითვლებოდა. ის კი არა, ოდესღაც თვითმფრინავის 37-მანეთიანი ბილეთით მოსკოვში ყოფნაც კი, ფაქტობრივად, დანაშაულად იქცა, რაც გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.

ერთადერთი, რაც რუსეთთან დასაახლოებლად, ანუ მის დასანგრევად კეთდებოდა, მისთვის რევოლუციებისა და სამოქალაქო და სამხედრო გადატრიალებების დიდი სპეციალისტის, საერთაშორისო დონის ჩე გევარას — გივი თარგამაძის მიჩენა იყო, რომელსაც, თუ ალღო არ მღალატობს, ალბათ მალე გამოიძახებს მთავარი პროკურატურა, ოღონდ ამჯერად ყირგიზეთ-უკრაინა-ბელარუს-რუსეთში მოკიდებული ფითილით ნავარდის გამო კი არა (შეიძლება ამის დროც დადგეს), იმ უკუღმართი „ვარდების რევოლუციის“ გამარჯვებამდე ცოტა ხნით ადრე ვინმე მოქალაქისთვის თავში ბოთლის ჩარტყმის გამო (ამბობენ, ის საგამოძიებო საქმე დღემდე დახურული არ არისო).

ერთი სიტყვით, საქართველო იქცა სახედრად, რომელსაც მასზე ამხედრებული პრეზიდენტი სააკაშვილი ჯოხზე ჩამოკიდებული წარწერით „ნატო“ წინ მიაჩიქჩიქებდა.

მირბოდა საწყალი სახედარი, მისდევდა ოცნებას, თავს არ ზოგავდა, მაგრამ ვერა და ვერ ეწეოდა სატყუარას. ნატო მისთვის სულ იქით და იქით იწევდა, არადა მაპი მის დეზებიან მხედარს თითქოს უკვე ჯიბეში ედო.

მაგრამ მოხდა საოცრება, დაოთხილი სახედარი შედგა და ურყევი კურსი, რომლითაც ასე საჰაერო ბუშტივით გვბერავდნენ ნაცები, ორიოდ დღეში შეირყა.

უახლოესმა სტატისტიკურმა გამოთვლამ უჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის 80(!) პროცენტი რუსეთთან მოლაპარაკების, რუსეთთან მშვიდობიანი მეზობლობის, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის მომხრეა!

მაგრამ, რა თქმა უნდა, გულუბრყვილობა იქნება თქმა, რომ ეს კურსი მართლა ორიოდ დღეში შეირყა.

არადა, კარგა ხანია ირყეოდა ნაცების დასავლური მისწრაფების მეტისმეტი მუხლებგადატყავების კვალდაკვალ, რასაც ფინანსური მაკიაჟის გარდა ხელშესახები არაფერი მოჰყოლია არც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, არც ნატოში გაწევრების თუ სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

განსაკუთრებით ოქტომბრის ამბებმა შექმნა შესაძლებობა, ხალხს ხმამაღლა ეთქვა, რასაც ფიქრობდა. ჰოდა, აღმოჩნდა, რომ ამ პირში წყალჩაგუბებულთა 80 პროცენტი დასავლეთის პარალელურად რუსეთთან ცხოველი ურთიერთობის მომხრე ყოფილა. 80 პროცენტი ზრდილობის გულისთვის, თორემ 80-ის გარკვეულ რაოდენობას დასავლეთის გაგონებაც აღარ უნდა.

მაინც რა მოხდა, ჩვენი ნაცხელისუფლების ამდენი ძალისხმევა რატომ წავიდა თხლესავით?

ჯერ ერთი იმიტომ, რომ დასავლეთმა იმედები გაიცრუა, ის არ მოიტანა, რასაც ველოდით.

მეორე, რუსეთთან უმძრახად ყოფნამ კიდევ უფრო დაგვაზარალა.

მესამე, იმდენი გვატენეს პიტნასავით ცხვირში დასავლეთის სიკეთე, რომ დაგვაფიქრეს, მართლა ისეთი ბედნიერებაა იგი ჩვენთვის, როგორც გვიხატავენ, თუ ოსმანა და ალია ორივე თათარია?

ჰოდა, თუ ორივე ერთი ოხერია, რატომ უნდა გადაიკლა თავი ახალი ოხრისთვის, როცა ძველი აგერ გყავს ყურისძირში, ნატო კი ძველებურად ცხრა მთას იქით არის?

განსაკუთრებით ერთმა ბოლოხნის მოვლენამ დააზარალა ნაცების გენერალური ხაზი — დასავლეთის პირდაპირ ანეკდოტურმა გალაშქრებამ საქართველოს ახალი ხელისუფლების ანტიკრიმინალური კამპანიის მიმართ. რა შეთანხმებულად, რა შეხმატკბილებულად **შეშფოთდნენ** ვაშინგტონშიც, ლონდონშიც, ბრიუსელშიც ბაჩო ახალაიას დაპატიმრების თუ ვანო მერაბიშვილის დაკითხვის გამო! რა სინქრონულად დაგვიქნიეს თითი, რა გამჭვირვალედ დაგვემუქრნენ, გვირჩიეს, ნუღა გააგრძელებთ, თორემ თქვენს თავს ავნებთო...

ბუნებრივად კეთდება დასკვნა: რაკიღა ხალხი მივიდა გადაწყვეტილებამდე, რომ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა, ანუ გარკვეული შემობრუნება ქვეყანას სიკეთეს მოუტანს, ეს არ ნიშნავს, რომ დასავლეთს ქვა და გუნდა მივაყაროთ.

ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, თანაც ისეთ გაცხოველებულ გზაჯვარედინზე გაფენილი, რომ ყველა ძაღლი და მამაძაღლი, ვისაც არ ეზარებოდა, მასზე იწმენდდა ფეხებს. ამიტომ სრულიად გასაგებია სურვილი, ნებისმიერმა სტუმარმა, რა ენაზეც უნდა ლაპარაკობდეს იგი, შემოსვლის წინ ან ფეხსაცმელები გაიხადოს თუ სუფთა წინდები აცვია, ან ჭუჭყიან ფეხსაცმელებზე კალოშები ჩაიცვას.

სხვაგვარად სისუფთავეს ვერ შევინარჩუნებთ.

**ალეკო ასლანიშვილი**

◎ ბოროტი განზრახვა

# შსს: „ბანკ ქართუს“ გაკოტრების მიზნით თანამდებობის პირების მონაწილეობით დანაშაულებრივი სქემა მოქმედებდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, „ბანკ ქართუს“ გაკოტრების მიზნით პოლიტიკური თანამდებობის პირების მონაწილეობით ორგანიზებულ-დანაშაულებრივი სქემა მოქმედებდა. ამის შესახებ შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ნინო გიორგობიანის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, რომელსაც **„ინტერპრესნიუსი“** გთავაზობთ.

**— შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოიძია და გაშიფრა ორგანიზებულ-დანაშაულებრივი სქემა, რომელშიც მონაწილეობდნენ სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირები და აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები. გეგმა მიზნად ისახავდა, ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მიმართ ანგარიშწორების მიზნით, სააქციო საზოგადოება „ბანკი ქართუს“ გაკოტრებას. დანაშაულებრივი სქემა შედგებოდა რამდენიმე ეტაპისგან.**

**მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა საჯაროდ განაცხადა პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ჩართვის შესახებ, ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა პირველ ეტაპზე შეიმუშავეს და პარლამენტმა დაამტკიცა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის თანახმადაც, საგადასახადო დავალიანების აღმოჩენის შემთხვევაში, სახელმწიფოს უფლება ეძლეოდა, აუქციონის წესით გაეყიდა იურიდიული პირების ქონება, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქონება ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით იყო დატვირთული. იმ მიზნით, რომ „ბანკ ქართუს“ ეს ქონება გონივრულ ფასში არ გამოესყიდა, აღსრულების ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელის ნიკოლოზ მელიას უშუალო ხელმძღვანელობით ხდებოდა აუქციონის ჩაშლა, რის შემდეგაც აღსრულების ეროვნული ბიურო ქონებას გადასცემდა ეკონომიკის სამინისტროს. ეკონომიკის სამინისტრო კი, პრეზიდენტის ბრძანებულებით ამ ქონებებს ასხვისებდა პირდაპირი მიყიდვის წესით. ამ კანონის მიღება გათვლილი იყო მხოლოდ და მხოლოდ „ბანკ ქართუს“ გაკოტრებაზე, რომლის ბენეფიციარი მესაკუთრე იმ დროისათვის გახლდათ ბიძინა ივანიშვილი. დანაშაულებრივი სქემის თანახმად, ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილ იმ ბიზნესმენებს, რომლებსაც საკრედიტო დავალიანება გააჩნდათ „ბანკ ქართუში“, უნდა ელიარებინათ არარსებული საგადასახადო დავალიანება. ამის შემდეგ, იმ ქონებას, რომელიც ბანკის მიერ იპოთეკით იყო დატვირთული, გაიტანდნენ აუქციონზე, სადაც მყიდველი არ დაფიქსირდებოდა. შემდეგ კი ეკონომიკის სამინისტრო, პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლურ ფასებში გაყიდდა სხვა კომპანიებზე, რომლებსაც სინამდვილეში აკონტროლებდნენ ამავე ქონების ყოფილი მეპატრონეები. ამ გზით, ხელისუფლებასთან დაახლოებულ ბიზნესმენებს ქონებაც არ ეკარგებოდათ და ამ დანაშაულებრივ სქემაში მონაწილეობით, უუქმდებოდათ „ბანკი ქართუს“ საკრედიტო დავალიანება, რომლის უზრუნველყოფას სწორედ იპოთეკით დატვირთული ქონება წარმოადგენდა. შესაბამისად, დაზარალებული რჩებოდა „ბანკი ქართუ“, რომელსაც იმ დროისათვის მეწარმე სუბიექტებისათვის მიცემული ჰქონდა 59 მილიონ 997 ათას 363 აშშ დოლარისა და 3 მილიონ 757 ათასი ლარის კრედიტები.**

**ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ყოფილმა უფროსმა ჯაბა ებანოიძემ, ამავე სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის სამმართველოს ყოფილმა უფროსმა მამუკა ლაშხიამ, მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილმა მოადგილემ ოთარ აგლაძემ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ყოფილმა მოადგილემ დავით გიორგაძემ და ბიზნესმენებმა ითანამშრომლეს სამართალდამცველებთან და გამოძიებას მისცეს სრული ინფორმაცია დანაშაულებრივი სქემის დეტალების შესახებ.**

**სისხლის სამართლის საქმეში არსებული ჩვენებებითა და უტყუარი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ დანაშაულებრივ სქემაში, რომელიც მიმართული იყო „ბანკი ქართუს“ გაკოტრებასა და მისთვის ფინანსური ზიანის მიყენებაზე, შეთანხმებულად და ორგანიზებულად მოქმედებდნენ ყოფილი ხელისუფლების სხვადასხვა რგოლები. კერძოდ, საქართველოს პარლამენტი, იუსტიციის, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროები, მათში შემავალი სტრუქტურებით და ქვედანაყოფებით.**

**გამოძიება გრძელდება.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ვეტერანებო, სწორდით!

# ოპოზიციონერი მთავარსარდალი, ალასანიას ირონიული ღიმილი და დეპარტამენტის ანაბრად მიტოვებული ვეტერანები

**რამდენიმე დღის წინათ საქართველოში უპრეცედენტო მოვლენა აღინუსხა. ჭადრაკის სასახლეში თავი მოიყარეს საქართველოში ადრე და ახლა არსებული ძალოვანი დანაყოფებისა და სტრუქტურების ვეტერანებმა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ერთმანეთის გვერდი-გვერდ ისხდნენ სამოქალაქო ომის დროს ერთმანეთს იარაღით დაპირისპირებული „ზვიადისტები“, „მხედრიონის“, შსს-სა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.**

როგორც შეკრების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ძალოვანთა ლიგის ხელმძღვანელმა გია ბერძენაძემ მთავარ გამოსვლაში განაცხადა, ახლადშექმნილი ორგანო იქნება ყველა არსებულ ვეტერანთა ჯგუფის კოორდინატორი და არავითარ შემთხვევაში არ ითვალისწინებს არსებულთა შერწყმას ერთ სტრუქტურაში. გამომსვლელმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ პრობლემებზე, რომლებიც ერთნაირად აწუხებთ ყველა ჯგუფების ვეტერანებს. — საზოგადოებაში ინტეგრაცია, სოციალური რეაბილიტაცია, ვეტერანთათვის სოციალური შეღავათების აღდგენა, ვეტერან პოლიტპატიმართა რეაბილიტაცია, ძალოვანი სტრუქტურებიდან უკანონოდ დათხოვნილ და პოლიტიკური ნიშნით რეპრესირებულთა აღდგენა-რეაბილიტაცია და ა. შ.

ბერძენაძემ სიამოვნებით აღნიშნა, რომ ვეტერანი მებრძოლები ქვეყანაში პირველად მივიდნენ დასკვნამდე, რომ ქვეყნისა და პირადი პრობლემების მოგვარების ყველაზე სწორი გზა ერთობლიობაა. თუ ჩვენ ერთმანეთში ვერ მოვილაპარაკეთ, როგორ უნდა ველაპარაკოთ აფხაზებსა და ოსებს, — განაცხადა მთავარმა მომხსენებელმა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, აფხაზებსა და ოსებთან ურთიერთობების აღდგენის აუცილებლობაზე საუბრის დროს ადა მარშანიამ სურვილი გამოთქვა შეასრულოს დესპანის მოვალეობა აფხაზ ხალხსა და საქართველოს გაერთიანებულ ვეტერანთა ორგანიზაციას შორის. როგორც მან აღნიშნა, აფხაზეთში უამრავი ნათესავი ჰყავს.

რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებაზე და რუს ავღანელთა კავშირის აღქმულ დაპირებებზე ილაპარაკა საქართველოს ავღანელთა კავშირის თავმჯდომარემ ნუგზარ კახნიაურმა. მან თქვა, რომ ბევრი ავღანელი დღეს რფ-ს ხელმძღვანელ პოსტებზე მუშაობს და მათგან მიღებული აქვს, როგორც იქაურ ხელისუფლებასთან ურთიერთობების ნორმალიზების, ასევე, აფხაზ და ოს ყოფილ ავღანელებთან ვითარების მოწესრიგების დაპირებები. კახნიაურის თქმით, 20 დეკემბერს, მოსკოვში ავღანელ ვეტერანთა დიდი თავყრილობა გაიმართება და ჩვენები ამ შეხვედრას დიდი იმედით ელიან.

ბევრი იყო კრიტიკა ყოფილი ხელისუფლების მიმართ. მსოფლიოს ჩემპიონმა ჭიდაობაში გურამ საღარაძემ განაცხადა, რომ დიდი მხედართმთავრის, საქართველოს გაერთიანებული მეფის, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი დავით აღმაშენებელის ძეგლის აღების წინ, მაშინდელ ხელისუფლებას შეახსენა, რომ ძეგლი საქართველოს პატრიარქმა აკურთხა და მისი ნებართვის, ლოცვა-კურთხევის გარეშე ნუ იზამდნენ ამას. მაგრამ ვინ დაგიჯერა — თქვა ვეტერანმა სპორტსმენმა.

ვეტერანთა გაერთიანებას დახმარებას დაჰპირდა შსს-ს შინაგანი ჯარების ყოფილი სარდალი გენერალი გია თორაძე. მისი განცხადებით ირკვევა, რომ ვეტერანი სამხედრო არის მსოფლიოს ვეტერანთა ფედერაციის წევრი. ცოტა ხნის წინათ კი ამ ორგანიზაციის ინიციატივით შეიქმნა კავკასიელ ვეტერანთა ფედერაციის ქვეკომიტეტი, რომლის თავმჯდომარედაც თორაძე დაინიშნა. თადარიგის გენერალი თანამემამულეებს ყოველმხრივ დახმარებას დაჰპირდა რეგისტრაციაში გატარების შემდეგ ამ ორგანიზაციაში გაწევრებისათვის.

გადაჭედილი დარბაზის წინაშე გამოსვლისას საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს იმიჯზე დიდი გავლენის მქონეა მისი დამოკიდებულება ვეტერანებისადმი. მას აღარ დაუკონკრეტებია, თუ რა დაუცვეღია მოსახლეობის ეს კატეგორია, რა აბუჩად იგდებდნენ მათ, იგნორირებას უკეთებდნენ ყოფილი ხელისუფალნი.

ალასანიამ თქვა, რომ აუცილებელია ვეტერანთა სარეაბილიტაციო ცენტრის შექმნა, სამხედრო პენსიების გადაანგარიშება და მონაწილეთათვის დახმარების გაზრდა. მინისტრი დაჰპირდა შეკრებილთ, რომ ვეტერანთა ჰოსპიტალი არ გაუქმდება (წინა ხელისუფლებას შენობისა და მომგებიანი ადგილმდებარეობის გამო მისი ჯერ გაუქმება, შემდეგ კი გაყიდვა უნდოდა) ალასანიამ სახელმწიფო მართვაში ვეტერანთა ჩართულობაზეც ილაპარაკა. პარლამენტსა და მთავრობაში დღეს ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანებს თავიანთი წარმომადგენლები არ ჰყავთ. შესაძლებელია ლობისტების გამოძებნა. დარბაზმა ერთხმად შესთავაზა მას მთავრობაში ლობისტობა. პასუხის გაცემას მინისტრმა თავი აარიდა.

მინისტრმა ისიც თქვა, რომ ვეტერანთა დეპარტამენტი დამოუკიდებელი სტრუქტურა უნდა იყოს, დამსწრეებმა ვეტერანთა საქმეების ამ სტრუქტურას წინა ხელისუფლებაზე მიბმული უწოდეს. — არავითარი დახმარება, თანადგომა, შელავათები, თუ მსგავსი რამ. ყველაფერი პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით გაიცემოდა და ნაწილდებოდა.

მოგვიანებით ამ საკითხთან დაკავშირებით ბერძენაძემ განაცხადა, რომ თავდაცვის სამინისტროს სპეციალური კომისია სწავლობს ამ უწყების საქმეებს და შედეგები მთელი საქართველოსთვის გახდება ცნობილი.

მოულოდნელად ალასანიას, ყოფილი აფხაზეთის ა/რ შსს-ს მინისტრმა დავით გულუამ დაუსვა შეკითხვა — როგორ უყურებს თავდაცვის მინისტრი იმ ფაქტს, რომ ქვეყნის მთავარსარდალი მთავრობისა და პარლამენტის ოპოზიციური ძალის ხელმძღვანელია, რასაც რესპონდენტმა ირონიული ღიმილით უპასუხა.

დარბაზში შეკრებილნი დალოცა მამა აკაკიმ. მან ვეტერანებს ჯანის მრთელობა და სამშობლოს სამსახურში დიდხანს და ნაყოფიერად მოღვაწეობა უსურვა.

შეკრების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა გია ბერძენაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო თავდაცვის ყოფილი მინისტრის გია ყარყარაშვილის, „მხედრიონის“ ერთ-ერთი ლიდერის გიორგი ვაშაკიძის და ეროვნული გვარდიის (ე. წ. „ზვიადისტების“) ყოფილი სარდლის ლოთი (ვახტანგ) ქობალიას მიმართვები, სადაც ისინი ერთხმად იზიარებენ შეკრების იდეას, მის ამოცანებს. თითოეული მათგანი დაუსწრებლობის მიზეზად ჯანმრთელობას, სხვადასხვა ობიექტურ მდგომარეობას ასახელებს. ამავე დროს, სამივე აღნიშნავს, რომ ვითარების გაუმჯობესებისთანავე — აქტიურად ჩაებმებიან საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში.

გადაწყდა, რომ ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანთა დამფუძნებელი ყრილობა 2013 წლის იანვრის ბოლოს გაიმართება.

**ზაზა ბილიხოძე**

◎ შეფასება

# „პირველი შეხვედრა ასეთ დონეზე და ამ განწყობით, უკვე მრავლისმთქმელი და დამაიმედებელია“

**პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პოლიტიკური სწავლების სკოლის დამფუძნებლისა და დირექტორის არმაზ ახვლედიანის შეფასებით, რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის შეხვედრა, როდესაც ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები, ფაქტობრივად, ჩიხშია შესული, მრავლისმთქმელი და დამაიმედებელია.**

ახვლედიანის განცხადებით, ის, რომ ორ ქვეყანას შორის, ურთიერთობები უკეთესობისკენ შეიცვლება, ეკონომიკური, ჰუმანიტარული და კულტურული ურთიერთობები გაუმჯობესდება, ეს ცხადია და დასაწყისისთვის სასურველია, თუმცა, საკმარისი არაა.

**„ვფიქრობ, იმ ფონზე, როდესაც საქართველო-რუსეთს შორის, წლების განმავლობაში დაძაბულია და, ფაქტობრივად, ჩიხშია შესული ურთიერთობები, პირველი შეხვედრა ასეთ დონეზე და ამ განწყობით უკვე, მრავლისმთქმელი და დამაიმედებელია. ის, რომ ეს ურთიერთობა თანდათან უკეთესობისკენ შეიცვლება ეკონომიკური, ჰუმანიტარული და კულტურული ურთიერთობები გაუმჯობესდება, ეს ცხადია და დასაწყისისთვის სასურველია, თუმცა, საკმარისი არაა.**

**რა თქმა უნდა, უპირველესად იმის გარკვევაა აუცილებელი, თუ რამდენად შეცვლის მოსკოვი დამოკიდებულებას ე.წ აღიარებული სახელმწიფოების მიმართ.**

**ეს, ცხადია, ძალიან დიდ დროს მოითხოვს და მოგეხსენებათ, რომ უმწვავესი თემა ჩვენს ურთიერთობაში სწორედ ესაა. იმისათვის რომ მთავარ საკითხს მივადგეთ და თანდათანობით ისიც მოვაგვაროთ, კომპლექსური მიდგომაა საჭირო და, ვფიქრობ, აქ ჩვენ მხოლოდ ქართულ-რუსული ამ ორმხრივი ურთიერთობების იმედად არ უნდა დავრჩეთ. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ჩვენი დასავლელი პარტნიორები, საერთაშორისო თანამეგობრობა აქტიურად ჩაერთვება და პოზიტიურ როლს შეასრულებს, რომ რუსეთმა ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას გადახედოს და ამ მთავარი თემის ადგილიდან დაძვრა, ამ ყინულის ლღობა, თანდათან მოხდეს“,** — განაცხადა ახვლედიანმა.

**From.ge**

◎ ტრანსპორტი

# „საქართველოს რკინიგზა“ განსაკუთრებულ რეჟიმში იმუშავებს

**შობა-ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, „საქართველოს რკინიგზა“ მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე გადადის და დამატებით რეისებს შეასრულებს. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას „საქართველოს რკინიგზის“ პიარმენეჯერმა თეკო სიხარულიძემ განაცხადა, გაზრდილი მგზავრთნაკადის გამო, განსაკუთრებით მოთხოვნად მარშრუტებზე, როგორიცაა ბათუმისა და ზუგდიდის მიმართულებები, დამატებითი მატარებლები დაინიშნა.**

სიხარულიძის განცხადებით, „საქართველოს რკინიგზამ“ აღნიშნული მიმართულებით მატარებლების გადასაყვანი ადგილების რაოდენობა 44 პროცენტით გაზარდა, რაც 1900 ადგილს შეადგენს. ეს მთლიანად დააკმაყოფილებს აჭარის, გურიის და სამეგრელოს მიმართულებით მგზავრობის მსურველთ, მათ მიეცემათ საშუალება, სადღესასწაულო დღეებში შეფერხების გარეშე იმგზავრონ.

ამასთან, „საქართველოს რკინიგზის“ ინფორმაციით, თბილისი-მახინჯაურის მიმართულებით აღნიშნულ პერიოდში, დღის განმავლობაში სამი რეისი შესრულდება. თბილისიდან მახინჯაურისკენ მატარებლები გავლენ 08.00 საათზე, 10.10 საათსა და 22.35 საათზე.

მახინჯაურიდან თბილისის მიმართულებით, ასევე, სამი რეისი შესრულდება. დედაქალაქისკენ მატარებლები გამოვლენ — 09.15 საათზე, 18.00 საათზე და 22.40 საათზე.

თბილისი-ზუგდიდი-თბილისის მიმართულებით კი მატარებლები შემდეგი განრიგით იმოძრავებენ: თბილისი-ზუგდიდი — 08.50 საათი, 13.00 საათი, 23.05 საათი. ზუგდიდი-თბილისი - 09.55 საათი, 15.15 საათი და 22.00 საათი.

„საქართველოს რკინიგზის“ პიარმენეჯერის განცხადებით, თბილისში მატარებლების ჩამოსვლის დრო მაქსიმალურად მორგებულია საქალაქო ტრანსპორტის სამუშაო საათებზე.

როგორც „საქართველოს რკინიგზაში“ აცხადებენ, უცვლელი რჩება ბილეთების ფასი ცხრა სხვადასხვა კლასის ადგილებზე და მერყეობს 5-დან 40 ლარამდე. ასევე, მოქმედებს სტუდენტური 50-პროცენტიანი ფასდაკლება ყველა ტიპის ადგილზე და 50-პროცენტიანი ფასდაკლება საერთო ვაგონებში იძულებით გადაადგილებული პირებისთვის.

**მგზავრებს ბილეთების შეძენა შეუძლიათ როგორც „თბილისი ცენტრალის“ სალაროებში, ასევე, ინტერნეტის საშუალებით და სწრაფი გადახდის აპარატებიდან. მგზავრებს შეუძლიათ, საინფორმაციო სამსახურს დაუკავშირდნენ ტელეფონის ნომერზე: 13-31.**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# ის დღეც საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა

**შეიძლება, ჩინგიზ აითმატოვისეულად არა – საუკუნეზე მეტ ხანს არ გაგრძელდეს დღე, მაგრამ ადამიანის ცხოვრებაში უთუოდ არის დროის ისეთი 24-საათიანი მონაკვეთი, რომელიც იმდენ მოვლენას დაიტევს, ადამიანებთან ისეთ ურთიერთობებს, სხვა სიტუაციაში წლები რომ დასჭირდება.**

**თუგინდ – საუკუნე...**

სოხუმის დაცემამდე დღეები იყო დარჩენილი, არავინ იცოდა, – რამდენი, მაგრამ ტრაგედიის გარდაუვალობას სხეულით გრძნობდნენ ადამიანები.

გენო კალანდია – განსაკუთრებით.

არა მარტო მდგომარეობის რეალისტურად შეფასების გამო, არა მარტო პოეტის მგრძნობიარე ნატურის კარნახით, არამედ იმიტომაც, რომ მის ბინაში სტუმრების განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო – საქართველოს მთლიანობის დასაცავად დედაქალაქიდან დაძრული ინტელიგენციის წარმომადგენლების სახით: ჯანსუღ ჩარკვიანი, გურამ ფანჯიკიძე, მამია ალასანია, თემურ შაშიაშვილი, ვალერი კვარაცხელია, ჯემალ ადამია, მეუფე კალისტრატე და კიდევ ისინი, ვისი გვარებიც აღარ ახსოვს მასპინძელს, – 19 წელიწადი გავიდა.

ამ ბინას, შერვაშიძის ქუჩის მეცხრე ნომერში, მე მგონი, ისეთივე მისტიკური აურა დასდევს, როგორც „ოსტატისა და მარგარიტას“ ავტორის მიხაილ ბულგაკოვის ბინას კიევში, ანდრეევსკი სპუსკის (ანდიას დაღმართის) 38-ე სახლში, სადაც მესირ ვოლანდისა (სატანის) და იეშუა განოცრის – მაცხოვრის პარალელური ლეგენდა იწერებოდა: აქაც – შერვაშიძის ქუჩაზე და იქაც – კიევურ ბინაში – სიკეთისა და ბოროტების ნაკადმა ერთდროულად ჩაიარა. ერთ მხარეს ზემოთ ნახსენები ადამიანები იყვნენ, მეორე მხარეს – აფხაზი სეპარატისტების ლიდერები, ავადსახსენებელი ვიაჩესლავ არძინბა და სოკრატ ჯინჯოლია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სპიკერი, რომლებმაც ერთმანეთის ჩანაცვლებით მიისაკუთრეს ლტოლვილი პატრონის საცხოვრისი.

შეუთავსებლის შეთავსება...

კალანდიების ოჯახს იმდენი ადამიანი სტუმრობდა, რომ მასპინძელს ხშირად იატაკზე ეძინა.

ხოლო პროფესორი ნოდარ ნათაძე ტანგაუხდელად და ჩექმებით ქათქათა ლოგინში წვებოდა:

რატომო, გურამ ფანჯიკიძემ რომ ჰკითხა, ასე რატომ აკეთებო? ბატონმა ნოდარმა უპასუხა:

მტერი რომ მოვა, ჩაცმას მერე ხომ არ დავიწყებო?!

თავდასხმის მოლოდინი იყო, რა თქმა უნდა, მაგრამ არა ისეთი, ნოდარ ნათაძეს რომ წარმოედგინა.

– ერთი დღე მაინც განსაკუთრებული იყო, – იხსენებს ბატონი გენო კალანდია, – 19 სექტემბერს ჩემი სახლის კარი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გურამ ფანჯიკიძემ შემოაღო. გურამი ჩემთან უნდა მოსულიყო, მეგობრობას თავი რომ დავანებოთ, თუნდაც იმიტომ, რომ მე აფხაზეთის მწერალთა ორგანიზაციას ვხელმძღვანელობდი.

რუსეთის ჯარის ნაწილებისა და აფხაზი მოთარეშეების სოხუმზე შეტევა 16 სექტემბერს განახლდა.

ამ დროს, ცხადია, ჩემს ქალაქში უნდა ვყოფილიყავი: მივატოვე პარლამენტის სხდომები (დეპუტატი ვიყავი) და ჩავედი სოხუმში, თბილისში რა გამაჩერებდა?!

ასეთივე განწყობილება ჰქონდა ყველა ქართველ პატრიოტს, ამ სულისკვეთებამ ჩამოიყვანა სოხუმში გურამ ფანჯიკიძეც. სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო.

გურამს ჩემთვის უცნობი, შუახნის კაცი ახლდა:

– მამია ალასანია, გენერალი, ჩემი მძახალი, – გამაცნო გურამმა.

მაშინ ვნახე პირველად ეს კაცი, რომელიც შემდეგ ლეგენდად იქცა, სამშობლოსთვის შეწირულ ადამიანად.

პირველივე საუბრიდან გავარკვიეთ, რომ ორივენი წარმომავლობით ერთი ქალაქიდან ვიყავით – ზუგდიდიდან: მაცხოვრის კარის ეკლესიის უბანში ცხოვრობდა ალასანიების გვარი. გამოვძებნეთ საერთო მეგობრები. გავიხსენეთ ახალგაზრდობა.

ცოტა ხანში აფხაზეთის უშიშროების ხელმძღვანელი იური კეშელავა შემოგვიერთდა. საუბარი, ბუნებრივია, აფხაზეთში შექმნილი ვითარების შესახებ გაიმართა, მდგომარეობა შეფასდა, როგორც უკიდურესად რთული და ექსტრემალური, რადგან ჩვენს პოზიციებს უტევდა კარგად შეიარაღებული და განწვრთნილი ძალა. ჩვენი მხრიდან კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სახალხო ლაშქარი“ იდგა, მოხალისეებით, გამოუცდელი ახალგაზრდებით დაკომპლექტებული, რომელთა უმრავლესობას ავტომატები პირველად ეჭირა ხელში.

აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჟიული შარტავას, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თბილისიდან მოავლინეს უშიშროების გამოცდილი გენერალი მამია ალასანია.

იმ ღამეს იმ პირობებში, როცა ფრონტის ხაზი ზედ ქალაქზე გადიოდა, როცა მოსახლეობა მშიერ ულუფაზე იჯდა, რაც შევძელით და როგორც შევძელით, ქართული სუფრა გავშალეთ, მოკლედ, ტრადიციას არ ვუღალატეთ, თბილი სიტყვები ვუთხარით ერთმანეთს, გავმხნევდით და მშვიდობა ვუსურვეთ აფხაზეთის ტანჯულ მიწას. იყო წუხილიც, იყო ტკივილიც, მაგრამ ყველანი მაინც იმედიანად ვიყავით.

ჩვენი და აფხაზების შერიგების სადღეგრძელო ცალკე ვთქვით.

**– როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე მამია ალასანიამ?**

– გაწონასწორებული, მშვიდი, ბალახივით სუფთა კაცის შთაბეჭდილება დატოვა. კომუნიკაბელური იყო საოცრად, მაგრამ იგრძნობოდა, რომ მან გაცილებით მეტი იცოდა, ვიდრე ამბობდა. ეს, ცხადია, მისი პროფესიისთვის დამახასიათებელი თვისება იყო. მისი მოკლე პასუხებიდანაც ჩანდა, რომ ფლობდა სიტუაციას, მომზადებული იყო და იცოდა, რა და როგორ უნდა გაეკეთებინა. მისი მოკლე შენიშვნები გუმისთისა და ქვემო ეშერის ამბებთან დაკავშირებით ამას ადასტურებდა. ამასთან, დაინტერესებული იყო, როგორ ვაფასებდით ადგილობრივები ცალკეულ, განსაკუთრებით, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში არსებულ მდგომარეობას, რა პოზიცია ჰქონდათ იქაურ სომხებს, ბერძნებს, საით იხრებოდნენ, ვის უჭერდნენ მხარს.

ჩვენც ჩვენსას ვეუბნებოდით.

დილაადრიან ბატონი მამია და იური კეშელავა სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად წავიდნენ.

**– სამსახურებრივი მოვალეობის?!**

– დიახ, ოღონდ ომის პირობებში, როცა ქუჩაში გასული ადამიანი შეიძლება სნაიპერის სამიზნე გამხდარიყავი.

ჩემს ოჯახში გატარებული ღამე იყო ერთადერთი, როცა მამია ალასანია ჟიული შარტავას გვერდით არ იყო, და ასე მოხდა იმიტომ, რომ ჯერ არ ჰქონდა დაწყებული თავისი მოვალეობის შესრულება.

გურამი დარჩა. ცოტა ხნის შემდეგ ჩემთან შემოდის უცნობი ახალგაზრდა. შემოვიპატიჟე. ვხედავ, გურამს გაებადრა სახე, ეს ჩემი სიძეაო, მითხრა, მამიას შვილი, ირაკლი ალასანია გახლავთო.

სულ ახალგაზრდა იყო. ყმაწვილკაცი უფრო ეთქმოდა. მოხალისედ იყო წამოსული აფხაზეთის ომში.

არ იმჩნევდა, მაგრამ გურამ ფანჯიკიძეს აწუხებდა „ომის ბილიკზე“ შემდგარი სიძის ამბავი. ჩანდა, ირაკლის ოჯახში ყველა დაერწმუნებინა, რომ ისიც იქ უნდა ყოფილიყო, სადაც მამამისი იყო, სადაც საქართველოს ერთიანობის ბედი წყდებოდა. მაშინ 18-20 წლისა თუ იქნებოდა, მეტის არა. მამა, შვილი, სიმამრი – ყველანი ომში იყვნენ.

დავსხედით, ვისაუბრეთ. საუბარში დავრწმუნდი, რომ ამ ყმაწვილკაცს განსაკუთრებული შინაგანი ძალა და სიმტკიცე ჰქონდა და მიზნისკენ სწრაფვის გაუტეხელი სურვილი გააჩნდა.

ორი თუ სამი დღის შემდეგ ჯარისკაცის ტანსაცმელში და მხარზე ავტომატგადაკიდებული გამოგვეცხადა რიგითი ჯარისკაცი ირაკლი ალასანია.

ჰოდა, ვისაუზმეთ და სამივენი ერთად წავედით აფხაზეთის მთავრობაში...

რახან მთავრობა ვახსენე, ბარემ აქვე გეტყვით, რომ სიძე-სიმამრს ერთ დღეს იარაღით ხელში 3 საათის განმავლობაში მოუწიათ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობის დაცვა მომხდური ბოევიკებისგან.

ცხარე ომი იყო.

ამ ბრძოლის შემდეგ გურამი ისეთი ძალაგამოცლილი მოვიდა ჩემთან, როგორიც არასოდეს მინახავს:

– ჩემი სიცოცხლე წაიღესო, – მითხრა.

ასე გრძელდებოდა დღიდან დღემდე. მაგრამ, ვეტერანების ჩვეულებისამებრ, არ ვაპირებ საბრძოლო ეპიზოდების მოყოლას, თუმცა იმას კი გეტყვით, რომ მე და გურამ ფანჯიკიძე გუმისთასთან ისეთ ორომტრიალში მოვხვდით (წინა ხაზზე ყოველდღე გავდიოდით), რომ იქიდან ჩვენი გამოსვლა მხოლოდ სასწაულად შეიძლება შეფასდეს.

**– გურამი კარგი მეგობარი და შესანიშნავი მწერალი რომ იყო, ცნობილია. თქვენ ომშიც ნახეთ. როგორი მებრძოლი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე?**

– გურამი თბილისიდან ავტომატით არ ჩამოსულა, მაგრამ ერთ დღეს იარაღით ხელში გამომეცხადა. სად და როგორ მოიპოვა, არც მას უთქვამს, არც მე მიკითხავს.

ვაუკაცური ბუნებისა იყო და იარაღიც კარგად მოირგო. დაგიმოწმებთ, რომ ასე იყო, რადგან, როცა ერთ-ერთ უმწვავეს წერტილში, კოდორის ხეობაში, გია ჩეჩელაშვილის ბატალიონის განლაგებაში მივედით გურამი, მე, პოეტი და აფხაზეთის განათლების მინისტრი ჯანო ჯანელიძე, დეპუტატი ფრიდონ საყვარელიძე, თითქოს ჩვენ გველოდნენო, დაიწყო სასტიკი ბრძოლა. გურამ ფანჯიკიძე ისე იბრძოდა, როგორც იულიუს კეისრის ვეტერანი გვარდიელი, გაბედულად, თავგანწირვით, სამხედრო საქმის ცოდნით.

მეწინავეობდა ყოველთვის და წინა ხაზისკენ ისწრაფოდა. მე, მასპინძელი, როგორ ვეტყოდი, გურამ იქ საშიშია და ვერ წამოგყვები-მეთქი.

სოხუმის დაცემის წინა კვირაში სიკვდილ-სიცოცხლის დღეები იდგა და იმ მძიმე წუთებში გამოჩნდა ამ ადამიანის ხასიათი, ბუნება და ღირსება.

კვირის ბოლოს გურამ ფანჯიკიძეს თბილისში წასვლა შევთავაზე.

ქალაქიდან გასასვლელად ერთადერთი გზა „წითელი ხიდი“ იყო. ესეც პირობითად, რადგან ბოევიკები მის მისადგომებს ისე ცხრილავდნენ, სასწაულიც ვერ გადაგარჩენდა.

ეს ხიდი პატარა მდინარე ჩალბაშზეა გადებული. ამ მდინარეზე ფონით გასვლა ქვემოთ, ზღვის შესართავთან დიდი რისკით იყო შესაძლებელი. გავედით.

გავედით და სამხედრო სანატორიუმის ტერიტორიაზე აღმოვჩნდით. რუსმა ჯარისკაცებმა ხელები აგვაწევინეს, იარაღი ჩამოგვართვეს, დაგვატყვევეს და ტყვეობიდან თავი მხოლოდ იმის წყალობით დავიხსენით, რომ მთავარი ექიმი ქართველი კაცი ლორდ ლორთქიფანიძე იყო, რომელსაც კარგად ვიცნობდი.

მოკლედ – გამოვაღწიეთ.

იხსენებს ამ პერიპეტიებს გენო კალანდია და მისი მონათხრობიდან ერთი ნიშანდობლივი დასკვნა გამომაქვს: მაშინ, როცა ქართველ მწერალთა მეთაური გურამ ფანჯიკიძე, ეს ჰუმანისტი ადამიანი, სოხუმის დასაცავად ხელში იარაღს იღებს და საკუთარ სიცოცხლეს თავგანწირვის სასწორზე დებს, მაშინ, როცა იგი და გენო კალანდია ფრონტის წინა ხაზზე მომხდურის ტყვიას საკუთარ მკერდს უშვერენ, მაშინ...

– სოხუმიდან წამოსულები (ქალაქში ცხოვრება აღარ შეიძლებოდა) გუმისთაში კარდაკარ რომ დავდიოდით, ზოგიერთმა ჩემმა ნათესავმა და მეგობარმა თავიანთ სახლში არ შეგვიშვა.

**– რატომ, ბატონო გენო?**

– საკუთარი პრობლემები აწუხებდათ.

ამართლებს თითქოს ბატონი გენო, ნამუსსა სწმენდს თითქოს, მაგრამ მე ამ ფაქტის უკან იმის მიზეზსაც ვხედავ, თუ რატომ გაიხლიჩა აფხაზეთის ქართველობის წარმომადგენლობა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში დეპუტატობის კანდიდატების წამოყენების გადამწყვეტ მომენტში.

თავიანთი პრობლემები ჰქონდათო, ბრძანა ბატონმა გენომ.

გენო კალანდია განაგრძობს:

– ასე სულიერად განადგურებულმა 26 სექტემბერს ვუთხარი გურამს და ფრიდონ საყვარელიძეს: მე ეს ბედი მიწერია, – მეკუთვნის ჩემს ქალაქში ყოფნა, თქვენ თქვენი საქმე უკვე გააკეთეთ, მეტის გაკეთება შეუძლებელია (სოხუმი ბოევიკებს უკვე აღებული ჰქონდათ), ამიტომ, მოდით, გაგაცილებთ და მე ჩემს საქმეს აქ უკეთ მივხედავ-მეთქი.

დავსვი ისინი გემზე და სამშვიდობოს გამოვუშვი. 27 სექტემბრის დილა თენდებოდა.

2 საათზე კი ბოევიკებმა მთავრობის სახლი დაიკავეს.

**– ჟიული შარტავასა და მამია ალასანიას დაღუპვის ამბავი როდის შეიტყვეთ?**

– უმძიმესი დღეები იდგა, ფსიქოზი, პანიკა, ადამიანები ამოვარდნილები იყვნენ ნორმალურობის კალაპოტიდან. ეტყობა, ამ საერთო დაბნეულობის პირობებში ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რაც სხვა დროს ყოვლად წარმოუდგენელი იყო: საუკეთესო მეგობრებმა, რომლებიც შეპირებული იყვნენ, სოხუმი თუ დაეცემოდა, მე უნდა გამოვეყვანე, მიმატოვეს. ქუჩაში უმწეოდ რომ ვიდექი, შემთხვევით გამოიარა ერთმა ბიჭმა, რომელიც თავის ახლობლებს უშედეგოდ ეძებდა, დამინახა, მიცნო და გაოცებულმა მკითხა:

**– თქვენ აქ რა გინდათ?!**

ღამის 10 საათია, სოხუმი დაცემულია და მისი შეკითხვა ლოგიკური იყო.

ჩამისვეს მანქანაში და წამომიყვანეს საკენი-ჭუბერის გზით.

საკენიდან ფეხით გავაგრძელე გზა. აი, აქ გადავეყარე ირაკლი ალასანიას. სიცოცხლესავით გამიხარდა მისი ნახვა. გადავეხვიეთ ერთმანეთს და პირველი, იცით, რა მკითხა? გურამი სად არისო? ხატზე დავიფიცებ, რომ ასე იყო.

ისეთი სიყვარული დავინახე ამ შეკითხვაში, რომ რა გითხრათ...

ნუ გეშინია-მეთქი, ვუპასუხე, გურამი სამშვიდობოს გავაცილე.

ეს იყო სასწაული შეხვედრა. ჭუბერის უღელტეხილზე ციოდა და თოვლჭყაპი მოდიოდა.

მართალი გითხრათ, ვერ ვკითხე, ვერ ვკითხავდი, მამა როგორ არის-მეთქი. მომერიდა. ალბათ, ირაკლიმაც არაფერი იცოდა მამის შესახებ, თორემ მეტყოდა.

შემდეგ, კარგა ხნის შემდეგ, უკვე თბილისში გავიგე, რომ მამია ალასანია გმირულად დაიღუპა ჟიული შარტავასთან ერთად...

რაც ამ ოჯახებმა გადაიტანეს, ყოველგვარი პათეტიკის გარეშე ვიტყვი, ეს არის მაგალითი სამშობლოს სიყვარულისა და თავდადების, იმ სამშობლოსი, რომელსაც დღეს ასეთივე სულისკვეთებით ემსახურებიან ლეგენდარული კაცების შვილები – მაია ფანჯიკიძე და ირაკლი ალასანია – ერთი საგარეო საქმეთა სამინისტროს უდგას სათავეში, მეორე თავდაცვის მინისტრია.

**არმაზ სანეგლიძე**

**P. S. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, ერთ დღეს მწერალთა კავშირში, მაჩაბლის 13-ში მეძახის გურამ ფანჯიკიძე. მივედი. მომაწოდა მუყაოს ყუთში ჩაწყობილი ვისკი და კონიაკი. ეს შენიაო. რატომ არის-მეთქი ჩემი?! გამიკვირდა. სოხუმში რომ დაგილიე, იმის გასაწონასწორებლად. სახლში რაც მქონდა, შევაგროვე და მოგართვიო, ახლა ბარიბარში ვართო.**

**ვალის დადება არ უყვარდა გურამ ფანჯიკიძეს.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# სჭირდება დღევანდელ საქართველოს მეცნიერება?

**დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვამ და საზოგადოებაში არსებულმა, ამ პროცესისათვის დამახასიათებელმა ვნებათა ღელვამ, ლოგიკური ცვლილებები გამოიწვია ერის ცხოვრებაში და მნიშვნელოვნად შეცვალა ბევრი ადრე არსებული ფასეულობა. ამ მხრივ, ცხადია, გამონაკლისს არც მეცნიერება წარმოადგენს.**

პარადოქსია, მაგრამ სინამდვილეს ვერსად გავექცევით. იმ ავად სახსენებელი კომუნისტების დროს ჩვენში განათლება და მეცნიერება მყარად იდგა ფეხზე და მსოფლიოში ანგარიშს უწევდნენ მათემატიკის, ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიისა და სხვა ქართულ სკოლებს. მაგრამ **უკანასკნელი 20 და, განსაკუთრებით, 10 წლის განმავლობაში მეცნიერებისადმი სრულმა უყურადღებობამ უფსკრულისკენ წაიყვანა პრაქტიკულად ყველა მიმართულება. ამის შედეგად ახალგაზრდა მეცნიერთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა უცხოეთს მიაშურა, სადაც დღეისთვის, არასრული მონაცემებით, არანაკლებ 300-ზე მეტი მაღალი კვალიფიკაციის ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი მოღვაწეობს.** დამეთანხმებით, ეს ბევრია ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც ჩვენია. ბევრმა გამოცდილმა სპეციალისტმა გაუსაძლისი ყოფითი და შრომითი პირობების გამო, პოლიტიკაში, ბიზნესში, ვაჭრობაში და სხვა სარბიელზე სცადა ბედი. თუმცა, საბედნიეროდ, ქვეყანას მაინც შერჩა გარკვეული სამეცნიერო პოტენციალი, რომელიც ჯერ კიდევ ძირითადად კვლევით ინსტიტუტებში განაგრძობს მოღვაწეობას და მათი ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება ხელისუფლების აქტუალური ამოცანაა.

თუ საქართველოში მეცნიერების არსებულ სტრუქტურაზე ვიმსჯელებთ, არავინ დავობს იმაზე, რომ **ინსტიტუტების მართვისა და კვლევითი საქმიანობის საბჭოური სტილი საფუძვლიან რეფორმას მოითხოვდა. თუმცა, ვერც მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, ვერც ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და ტექნიკური პროფილის სამინისტროებმა ვერ მოახერხეს ოპტიმალური რეფორმის პროექტის წარდგენა და შედეგად მივიღეთ ის, რაც დღეს გვაქვს.** ეს კი იმ მარტივი მიზეზის გამო მოხდა, რომ **რეფორმა მეცნიერებასა და განათლებაში 2004 წ. ჩაატარეს მეცნიერებისაგან შორს მდგომმა, დაბალი კვალიფიკაციის მქონე პიროვნებებმა და სწორედ აქედან დაიწყო მეცნიერების ფუნდამენტის ნგრევა. შემცირების შედეგად, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, ძირითადად, 25-30 თანამშრომლისგან შემდგარი ინსტიტუტები უნივერსიტეტებს შეუერთეს, პრაქტიკულად ყოველგვარი იურიდიული სტატუსის შენარჩუნების გარეშე და მათ ფორმალური დამოუკიდებლობის თვალსაზრისით დასახელების გარდა აღარაფერი შერჩათ.** ცხადია, ამ საყოველთაო რეფორმით განსაკუთრებით დაზარალდა საბუნებისმეტყველო დარგები (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, აგრარული მეცნიერება), რომელთა ძირითადი საქმიანობა ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებდა. ამ ინსტიტუტებს თანამშრომლების სიმბოლური ხელფასების გარდა (100-150 ლარი) არ გააჩნდათ კვლევისათვის სხვა არანაირი აუცილებელი პირობები: რეაქტივები, ხელსაწყოები, მეცნიერული კონტაქტები, ჟურნალები, საკანცელარიო საქონელი და სხვ. ცხადია, იმ პირობებში, როდესაც ოჯახზე ზრუნვა ნებისმიერი ადამიანისათვის სერიოზულ პრობლემად რჩებოდა, რომელ მეცნიერებაზე შეიძლებოდა ლაპარაკი.

რა მოიტანა რეფორმამ? პირველ რიგში ის, რომ **საბუნებისმეტყველო დარგში მომრავლდა საეჭვო ღირებულების პუბლიკაციები, დაბალი მეცნიერული ღირებულების მქონე წიგნები, რომლებზეც არავითარი მოთხოვნილება არ არსებობდა, თითქმის სისტემური ხასიათი მიიღო დაბალი ხარისხის ერთსაფეხურიანი სადისერტაციო ნაშრომების დაცვამ, ნორმად იქცა საყოველთაო გაპროფესორება.** ყოველივე ამას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არანაირ ყურადღებას არ აქცევდა. შედეგად, ექსპერიმენტული პროფილის ინსტიტუტებში მნიშვნელოვნად დაქვეითდა მეცნიერების დონე. სერიოზულმა ინფორმაციულმა დეფიციტმა (ჟურნალები, ტრადიციული სემინარები, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა და სხვ.) გამოიწვია ეროვნული მეცნიერების მნიშვნელოვანი ჩამორჩენა. საბუნებისმეტყველო დარგებში თითქმის მთლიანად გაუქმდა უაღრესად მნიშვნელოვანი, სპეციალიზებული საპრობლემო საბჭოები, პროფესიული საზოგადოებები, დაირღვა არსებული კავშირები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ. პრაქტიკულად დაიკარგა კავშირები ახალგაზრდა თაობასთან. აი, იმის არასრული ჩამონათვალი, რაც მეცნიერებაში ტაშისკვრით გატარებულ რეფორმას მოჰყვა.

ახალგაზრდა მეცნიერების რაოდენობა კვლევით დაწესებულებებში მნიშვნელოვნად შემცირდა, სამაგიეროდ გაიზარდა ახალგაზრდების ლტოლვა ბანკებისადმი, უცხოური კომპანიებისადმი, სადაც ფულადი ანაზღაურება გაცილებით აღემატება მეცნიერთა ანაზღაურებას. გასაგებია, რომ საბაზრო ეკონომიკას თავისი კანონები აქვს, მაგრამ იმისათვის, რომ ახალგაზრდობას საბოლოოდ არ დაეკარგა ინტერესი მეცნიერებისადმი, ამაზე მთავრობას უნდა ეზრუნა. შექმნილ ვითარებაში არსებობს დიდი საშიშროება, რომ ჯერ კიდევ მოქმედი ხანდაზმული მეცნიერების ე.წ. „ოქროს ფონდის“ წასვლის შემდეგ მეცნიერებაში დიდი ვაკუუმი შეიქმნება, რომლის შევსებაც ძალიან გაჭირდება, თუ საერთოდ იქნება შესაძლებელი.

**რა მოუტანა კვლევითი ინსტიტუტების მიერთებამ უნივერსიტეტებს? პირველ რიგში უნივერსიტეტები შეივსო კვალიფიციური კადრებით. როგორი ღარიბიც არ უნდა ყოფილიყო კვლევითი ინსტიტუტების ხელსაწყო-დანადგარების პარკი, მათ არსენალში რამდენიმე თანამედროვე ხელსაწყო მაინც მოიძებნებოდა. ინსტიტუტების ექსპერიმენტული ბაზები საშუალებას აძლევს უნივერსიტეტებს ჩაატარონ მეტნაკლებად მისაღები ლაბორატორიული სწავლება, რაც უნივერსიტეტების დიდ უმრავლესობაში ხშირად შესაბამისი კადრების, ხელსაწყოებისა და რეაქტივების უქონლობის გამო პრაქტიკულად აღარ ტარდებოდა. საბუნებისმეტყველო დარგებში მიერთებული ინსტიტუტების ბაზებზე შესაძლებელი გახდა მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მომზადება.**

მაგრამ ისმის კითხვა, სად არის მეცნიერება? ნუ დაგვავიწყდება, რომ უნივერსიტეტებს შეუერთდა მთელი ქვეყნის მეცნიერული პოტენციალი, მათ შორის ქვეყანაში მეცნიერების ლიდერის — ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები. **თუ მომავალში ეს პოტენციალი მხოლოდ სწავლების პროცესისთვის იქნება გამოყენებული, გამოვა, რომ ქვეყანა თითქმის მეცნიერების გარეშე დარჩენილა!!! ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ დღეს საქართველოში უნივერსიტეტები ვერ უზრუნველყოფენ მეცნიერების დაფინანსებასა და შესაბამის მოვლა-პატრონობას.**

მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, მეცნიერების არსებობა რამდენიმე ფორმით არის შესაძლებელი: საუნივერსიტეტო, აკადემიური, მსხვილი ფირმები და კომპანიები, სხვადასხვა საზოგადოებები, კერძო პირთა ინვესტიციები მეცნიერებაში. მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებში. საუნივერსიტეტო ფორმა საკმაოდ ეფექტურია. მაგრამ, ნუ დაგვავიწყდება, რომ მეცნიერება ძვირადღირებული ფუფუნებაა და საკმაო ხარჯებს მოითხოვს. პირადად მე ხანგრძლივად მიწევდა მუშაობა პენსილვანიის, კალიფორნიის, აიოვას შტატების უნივერსიტეტებში და წარმოდგენა მაქვს, თუ რა დიდი მოცულობის ხარჯებთან არის დაკავშირებული მეცნიერების მართვის ეს ფორმა. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ბიუჯეტი უკვე ახლო მომავალში მნიშვნელოვნად გაიზრდება, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია გამოიყოს იმ რაოდენობის ფინანსები, რაც მეცნიერების განვითარებას საუნივერსიტეტო ფორმით, თუნდაც, საბუნებისმეტყველო დარგში დაკმაყოფილებს.

რაც შეეხება მეცნიერების განვითარების აკადემიურ ფორმას, სავარაუდოდ, ჩემი ღრმა რწმენით, ის უფრო მისაღებია. შექმნილ ვითარებაში რა უპირატესობა ექნებოდა, მეცნიერებათა აკადემიის ფუნქციურ აღდგენას? მეცნიერებათა აკადემიების არსებობა სულ უფრო დიდ მხარდაჭერას პოულობს იმ ქვეყნებშიც, სადაც საუნივერსიტეტო მეცნიერება ტრადიციულად წამყვანი ფორმაა. ბევრ ევროპულ ქვეყანაში არსებობს და ყალიბდება მეცნიერებათა აკადემიები ან მათი ანალოგიური დაწესებულებები/საზოგადოებები. **1) მეცნიერების კონცენტრირება აკადემიის ჭერქვეშ საშუალებას იძლევა სახელმწიფოებრივი თვალთახედვით იქნას დანახული მეცნიერება და მისი პოტენციალი, გაცილებით ნაკლები ხარჯით ხორციელდებოდეს იმ დარგების პრიორიტეტული განვითარება, რომლებიც ქვეყნისათვის ძირითად ინტერესს წარმოადგენს; 2) შესაძლებელი ხდება კვლევების უკეთესი კოორდინირება, რაც გამორიცხავს დუბლირებას ან შესაძლო ინტერესების კონფლიქტს; 3) ცალკეული ინსტიტუტების ერთობლივი მონაწილეობა საქვეყნო პრობლემების გადაწყვეტაში, არასაბიუჯეტო საპრობლემო საბჭოების ჩამოყალიბება, ცალკეული ინსტიტუტებისა და მეცნიერული კვლევის შედეგების მოსმენა და ანალიზი; 4) შუამდგომლობა მთავრობის წინაშე მეცნიერების ამა თუ იმ დარგის პრიორიტეტულ განვითარებაზე; 5) ქვეყნის მასშტაბით ახალგაზრდა მეცნიერების კონკურსების ჩატარება და სტიმულირება; 6) უცხოეთის აკადემიებთან და სხვა სამეცნიერო ცენტრებთან ქვეყნის სახელით კონტაქტების დამყარება; 7) ეროვნულ და უცხოურ ფირმებთან და კომპანიებთან ერთობლივი საწარმოების შექმნით მეცნიერულ-ტექნიკური კონგლომერატების (ტექნოპარკების) ჩამოყალიბება, როგორც ეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტშია; 8) დანაწევრებული და თითქმის დაშლილი მეცნიერული საზოგადოების აღდგენა.**

დღევანდელი მეცნიერებათა აკადემია უნდა განსხვავდებოდეს აკადემიის საბჭოური ტიპისაგან. ფუნდამენტური მეცნიერების გარდა მეცნიერებათა აკადემია თანაბარი ძალით უნდა იღებდეს მონაწილეობას პრაქტიკული, ქვეყნისათვის საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში შესაბამისი ტექნოლოგიებისა და რეკომენდაციების დამუშავებით. და, ბოლოს, **ძლიერი მეცნიერებათა აკადემია სრულებით არ გამორიცხავს საუნივერსიტეტო მეცნიერების არსებობას. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ თუ სამეცნიერო ინსტიტუტების უნივერსიტეტებთან არსებობა მეცნიერების ერთადერთ ფორმად დარჩა, უნივერსიტეტების სიდუხჭირისაგან გამომდინარე, სულ ცოტა ათიოდე წელი მაინც დაგვჭირდება იმისათვის, რომ მეცნიერების მართვა ამ ახალ ლიანდაგზე ეფექტურად განხორციელდეს.**

ხელოვნურად შექმნილი ლეგენდა, რომ ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, ფუნდამენტური მეცნიერება არ გვჭირდება და საჭიროების შემთხვევაში მეცნიერების აუცილებელ სეგმენტებს დავესესხებით დიდ ქვეყნებს, არასწორი კი არა, ელემენტარულად დამღუპველია. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერების მთელი სპექტრის ანალიზი ერთ პუბლიკაციაში შეუძლებელია და ამისათვის არც ვარ მზად, შევეცდები რამდენიმე, ჩემთვის ხელმისაწდომი მაგალითით, წარმოვადგინო საქმის ვითარება.

**მრავალდარგიან საქართველოს აუცილებლად სჭირდება მასზე მორგებული მასშტაბის მეცნიერება, შესაბამისი პრიორიტეტებით, რომელიც, პირველ რიგში, ქვეყნის მოთხოვნილებას უნდა ემსახუროს და სწორედ აქედან გამომდინარე იღებდეს მონაწილეობას ფუნდამენტურ კვლევებში.** თუ მეცნიერებას მეტი ყურადღება მიექცა, სავსებით შესაძლებელია, რომ ქვეყნისთვის მეცნიერება კომერციულად მომგებიანი გახდეს. ჩვენს ინსტიტუტებში შესაძლებელია მეზობელი ქვეყნებიდან მაძიებლების მიერ სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების შესრულება. ეჭვი ნურავის შეეპარება იმაში, რომ ამის პოტენციალი ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია მოგახსენოთ, რომ იმ დიდ რეგიონებში, რომლებიც საქართველოს სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარეობს, და სადაც მეცნიერებისადმი ინტერესი სისტემატურად მატულობს, ამის მსურველი ბევრია.

მეცნიერება პოლიტიკისადმი ძალიან



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მგრძნობიარე სფეროა, რაც საქართველოს უკანასკნელი 10-15 წლის სინამდვილემ კიდევ ერთხელ დაგვანახვა. ქვეყანაში მეცნიერების მაღალი დონის შექმნა ათეულ წლებს მოითხოვს. იმედის მომცემია დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლების გამონათქვამები მეცნიერების განვითარებასთან დაკავშირებით. აქ, ალბათ, ისმის კითხვა, რა დოზით საჭიროებს დღევანდელი საქართველო მეცნიერებას? შეიძლება თუ არა ქვეყანა მთლიანად დაეყრდნოს დიდ ქვეყნებში არსებულ მეცნიერულ მიღწევებს და გამოიყენოს მხოლოდ უცხოეთში მიღებული კვლევის შედეგები?

ცხადია, საერთაშორისო მასშტაბით არსებული მეცნიერების მიღწევებისა და ახალი ტექნოლოგიების გარეშე ვერ იარსებებს ვერც ერთი ქვეყანა და ამ რესურსის გამოყენება არა მარტო სასურველი, არამედ აუცილებელიცაა. მაგრამ რამდენად საკმარისია მარტო უცხოეთის მეცნიერული მიღწევებით ქვეყნის ეკონომიკის წარმართვა (მხოლოდ ტექნოლოგიების ყიდვით?) ან ეროვნული მეცნიერების გარეშე როგორ უზრუნველვყოთ სწავლების თანამედროვე დონე, რის საფუძველზე უნდა შეიქმნას მრეწველობის ახალი დარგები, გაუმჯობესდეს არსებული და ბევრი სხვა.

ჩვენი ქვეყნის ბიომრავალფეროვნება მოითხოვს, რომ ქვეყანაში არ დაიკარგოს მრავალდარგიანი აგრარული მრეწველობა. ცხადია, უნდა შეიქმნას ისეთი აგრობიოლოგიური ტექნოლოგიები, რომლებიც ადგილობრივ კლიმატზე და რესურსზე, ნიადაგის მრავალფეროვნებაზე, ტექნოლოგიებში სელექციურად შერჩეული მიკროორგანიზმების ეფექტიან გამოყენებაზე იქნება დაფუძნებული (ალკოჰოლური, *რძემჟავური დუღილის მიკროფლორა, ანტიბიოტიკების, ვიტამინების, ფერმენტების მიკრობული სინთეზი და სხვა).* **ეროვნული მეცნიერების ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად აგრარული და სხვა ადგილობრივად არსებული ბუნებრივი რესურსების (მათ შორის, არატრადიციული ენერგეტიკა) უნიკალური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება უნდა გადაიქცეს ქვეყნის სამომავლო განვითარების ერთ-ერთ მაგისტრალურ გზად.** ამ ტიპის მეცნიერულ-ტექნოლოგიური ბაზა შეუძლია შექმნას მხოლოდ ეროვნულმა მეცნიერებამ. ეს გამართლებული იქნება არა მარტო ფინანსურად, არმედ ხელს შეუწყობს ახალგაზრდა მეცნიერების ზრდას და ეროვნული მეცნიერების გაძლიერებას.

**ანალოგიურად შეიძლება ვიმსჯელოთ ჯანმრთელობის დაცვაზე, რომლის ერთ-ერთ საფუძველს შეადგენს უნიკალური და მასობრივი სამკურნალო პრეპარატების წარმოება.** ცნობილია, რომ სამხრეთ კავკასიონის ფერდობები განსაკუთრებული მცენარეული ბიომრავალფეროვნებით გამოირჩევა და ბუნებრივია, ბიოლოგიურად და ფიზიოლოგიურად აქტიური სამკურნალო პრეპარატების, მალამოებისა და ექსტრაქტების უნიკალურ წყაროს წარმოადგენს. ამ მიმართულებით ბევრია გაკეთებული და დიდი პერსპექტივებიც არსებობს.

**დასანანია, რომ დღევანდლამდე მრეწველობის ინტერესების მიღმა რჩება ისეთი დარგი, როგორიცაა ბიოტექნოლოგია, და კერძოდ, ეკოლოგიურად სუფთა, მეცნიერებატევადი მიმართულება — მიკრობიოლოგიური სინთეზი. სწორედ მიკრობიოლოგიური სინთეზი გახლავთ თანამედროვე ბიოტექნოლოგიის ძირითადი ინსტრუმენტი და ერთ-ერთი, ფინანსურად მომგებიანი მრეწველობის მიმართულება.** ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში — უკრაინაში, ლატვიაში, ლიტვაში, სომხეთში, სადაც მიკრობიოლოგიური ქარხნები არსებობენ, მათი შენატანი ბიუჯეტში მილიონი დოლარებით განისაზღვრება. დღეს საქართველოში ყველა წინაპირობა არსებობს იმისათვის რომ ბიოტექნოლოგიის ეს თანამედროვე, ეკოლოგიურად სუფთა დარგი, განვითარდეს ადგილობრივი მიკროფლორის გამოყენებით.

**გიორგი კვესიტაძე,**
**საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიური მეცნიერების განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი, აკადემიკოსი**

◎ სამეგრელოს მხარე

# კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ზუგდიდში მეტი აქტიურობა მართებს!

**ადგილობრივი** თვითმმართველობის ორგანოებში „ნაცმოძრაობის“ პირველი პირები თითქმის ყველგან გადადგნენ, თუ გადააყენეს. ზუგდიდი კი, როგორც ყოველთვის, ისევ რჩება „ნაცების“ პლაცდარმად, მოსახლეობა კი — ცვლილებების მოლოდინშია. კოალიცია „ქართული ოცნება“ კი, თითქოს ოლიმპიური სიმშვიდით ელოდება მოვლენათა განვითარებას. ზუგდიდში ისინი პირობითად სამ ჯგუფად არიან გაყოფილნი და ცალცალკე საქმიანობენ თვითმმართველობის ორგანოებში თანამდებობების დასაკავებლად. ყოველივე ეს კი საშუალებას აძლევს საკრებულოს თავმჯდომარეს ლევან კონჯარიას და გამგებელს ალექსანდრე ქობალიას მშვიდად განაგრძონ თავიანთი საქმიანობა. თუ ერთი ჯგუფი ითხოვს მათ გადადგომას, მეორე ჯგუფი კი მათ დამცველებად ევლინებათ, ხოლო მესამე — ჩუმადაა და საერთოდ არ ერევა ამ პროცესებში.

გავრცელებული ვერსიით საკრებულოს მომავალ თავმჯდომარედ მოიაზრება ნუგზარ სარია, „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელი, რომელსაც ადგილი საკრებულოში თანაპარტიელმა გია ალასანიამ დაუთმო, ხოლო თვითონ ალასანია კი გამგებლის თანამდებობის დასაკავებლად ემზადება. შეიძლება ითქვას,რომ სამივე ჯგუფი თანახმაა საკრებულოს მომავალი თავმჯდომარის კანდიდატურაზე — სარიას ალტერნატივა არა ჰყავს, ხოლო რაც შეეხება გამგებელს აქ უფრო რთულადაა საქმე. სამივე ჯგუფს თავიანთი წარმომადგენლის გაყვანა სურთ. არც ერთ ჯგუფს არ სურს, რომ ისინი ზეწოლასა და მუქარაში დაადანაშაულონ და სურთ, კონჯარია და ქობალია თავიანთი სურვილით გადადგნენ, რაც საერთოდ არ „შედის“ კონჯარიასა და ქობალიას გეგმებში. ისინი გადადგომას არ აპირებენ.

ალექსანდრე ქობალიასა და ლევან კონჯარიას მიმართ მოსახლეობას მაინცდამაინც აგრესიული დამოკიდებულება არ გააჩნიათ. მათ საარჩევნო პერიოდში არც აქტიურობით გამოურჩევიათ თავი, რადგან ზუგდიდში მაინც არავინ არაფერს არ ეკითხებოდა და ყველა პრობლემას ზუგდიდში და სამეგრელოს რეგიონში ზაზა გოროზია და როლანდ ახალაია წყვეტდნენ და ისინი არც საარჩევნო პერიოდში თვლიდნენ მათ ანგარიშგასაწევ ძალად.

ასე რომ, თუ ასე გაგრძელდა ზუგდიდში „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა პასიურობა, ახლანდელი „ნაცხელმძღვანელები“ კიდევ დიდიხანს დარჩებიან თანამდებობებზე, ანუ მანამ სანამ მიშას ნაცების საბოტაჟი შედეგს არ გამოიღებს!..

„ქართულ ოცნებას“ ერთსულოვნება და ერთიანობა ზუგდიდში საპარლამენტო პერიოდშიც აკლდა, რაც გამოიხატა კიდეც შედეგში, წააგო როგორც კოალიციამ, ისე მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა, თუმცა დიდი იყო შიში და გაყალბებაც „ნაცმოძრაობის“ მხრიდან.

მიხეილ სააკაშვილის შემხედვარე, რაღა დროს შიში და მორიდებაა!..

**ლადო ძირია,**
**ზუგდიდი**

◎ გამოხმაურება

# საქართველოს ისტორიის ფილოსოფიური ასპექტები

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ არამარტო ფილოსოფოსების, არამედ ისტორიის მკვლევართა მიმართ დგას მრავალი კითხვა, რომელთა შინაარსი არ არის ერთმნიშვნელოვანი; კერძოდ: უნდა მოხდეს არა მარტო ფაქტების დაზუსტება, არამედ მათი გლობალუროი ხასიათის, ისტორიის, როგორც ზოგადსაკაცობრიო პროცესის, მოვლენათა განვითარების თავისებურებების, ტენდენციების, წარსულისა და მომავლის კავშირის, ისტორიაში ადამიანის ადგილისა და როლის შეფასება. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა გააზრება ისიტორიის საზრისისა.

ეს არცთუ ისე იოლი ამოცანაა. სწორედ ისტორიის ასპექტების ფილოსოფიური მნიშვნელობის კვლევას გვთავაზობს პროფ. **ფ. ლომაშვილი** თავის სამტომიან შრომებში სათაურით: **„ისტორიის ფილოსოფიის ისტორია“.** საყურადღებოა, ავტორის მიერ ისტორიის ფილოსოფიურ-თეორიული ანალიზი ქართულ ისტორიოგრაფიაში. ზოგადად და კერძოდ, საქართველოს ისტორიის ცალკეულ პერიოდებში.

პროფ. ფ. ლომაშვილის ეს ნაშრომები უდავოდ საინტერესო შენაძენია საქართველოს ისტორიის ფილოსოფიური ასპექტების გაცნობისა და გაგების სფეროში.

**ლონდა მდივანი**

◎ გამოხმაურებანი

# არ გაუმარჯოს ამერიკული ცხოვრების წესს...

**განა მე არ შემძრა ნიუთაუნის უმძიმესმა ტრაგედიამ, განა მეც არ აღმიძრა აღშფოთების, წუხილის, სიბრალულის გრძნობები, მაგრამ რა ვუყო ამ ოხერ ფიქრებს, ისევ რომ აშლილან, ახმაურებულან და მოსვენებას არ იძლევიან...**

შტატებში რომ ძალიან მოაქვთ თავი დემოკრატიულობით, ცხოვრების იქაური წესით, მსოფლიო ლიდერობით, აქეთ თითს რომ მიქნევენ, მიკარნახებენ, როგორი კანონები შემოვიღო, ვინ და როგორ დავაპატიმრო, რა „გავამჭვირვალო“ და რა არა — ცოტა იმ თავსაც მიხედონ, მოუარონ — საკუთარ თავს.

ჩემდათავად კი შემირცხვენია ის საზოგადოება, ის ატმოსფერო, სადაც ოჯახის დიასახლისი, ოჯახის დედა და თანაც პედაგოგი დიდძალ იარაღს ლეგალურად, დაუფარავად იფორმებს და შვილებს სროლას ასწავლის... რა „კარგად“ უსწავლებია, არა? აკი მოუბრუნდა კიდევაც იმ უბედურს ეგ სწავლება და ამას ნიშნისგებად ნურცვინ ჩამითვლის... აკი აღიარა ნიუთაუნში სამძიმრით ჩასულმა აშშ-ის ლიდერმა — ასეთი შემთხვევა მეოთხეა ჩემი პრეზიდენტობის დროსო; ჰოდა, პრეზიდენტობის ძლივს მეხუთე წლისათვის (აგერ, ნოემბერში არ აირჩიეს მეორე ვადით?..) ამგვარი ციფრი მეტისმეტი ხომ არ არის...

ჩემს ბედკრულ ქვეყანას კი რაც შეეხება, მე ვერ წარმომიდგენია ქართველი დედა, რომელიც ამდენ ცეცხლსასროლ იარაღს „დააკოლექციებს“ და ვაჟებს სროლაში გაწაფავს... ოღონდ ცუდი მაგალითი რომ გადამდებია? ღმერთმა ნუ ქნას (რუსები იტყვიან — Не даи бог... აქვე სათქმელად, ვერც დიდ რუსეთში, მეზობელ რუსეთში წარმომიდგენია ნიუთაუნის მსგავსი ფენომენი...), რომ საქართველოში 20 წლის ახალგაზრდას მსგავსი სიგიჟე შეეყაროს. ღმერთმა ნუ ქნას-მეთქი!..

# მიშა არ იშლის მიშოგას (გიჟობას!), მოსდევს კიდევაც ძალ-ღონე...

**როგოც ჩანს და როგორც ისმის, წაგებულმა არჩევნებმა ბევრი ვერაფერი ვერ ასწავლა გაოპოზიციებულ ნაცებსა და იმათ მთავარ ჭარტალს... ეს ჩვენი 5 იანვრამდე პრეზიდენტი პოსტნაცურ ხანაშიც არხეინად გრძნობს თავს: დაგრიალობს, დაფრინავს და აფრენს...**

„ორშაბათ დილა გათენდა“ და ნეტავ იმ 17 დეკემბერს „კურიერი“ არ მომესმინა: სტრასბურგში რაღაც ბაზრობაზე თუ გამოფენაზე გამოცხადებულმა მიხეილ სააკაშვილმა (რას გაუშვებდა!) საჯაროდ რომ „შავი თეთრზე“ განცხადა — **8 წლის წინათ საქართველო არავინ არ იცოდაო!** 2012-ს მინუს 8 უდრის 2004-ს და რა დიდი ჭკუა ამ „მემორანდუმის“ გაშიფვრას უნდა — საქართველო ამ 8 წლის სიგრძეზე, მე, სააკაშვილმა გავაცანი მსოფლიოს და ამ ჩემი გაცნობის წყალობით ადრე თუ 400 ათასი ძლივს ჩამოდიოდა, ახლა 4 მილიონი ჩამოდისო...

ხო აზრზე ხართ — მანამდე არც დავით აღმაშენებლის ქვეყანა გაეგონა ვინმეს, არც რუსთაველის, არც ერეკლე მეორის (არადა, თურმე პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდი იკვეხნიდა — დასავლეთში მე ვარ და აღმოსავლეთში ერეკლე მეფეო!), არც სტალინის, მუსხელიშვილის, ბერიტაშვილის, სუხიშვილების, მესხის, მეტრეველის თუ სხვათა და სხვათა...

დიახ, საქართველო სააკაშვილმა გამოიყვანა მსოფლიო ასპარეზზე და ჰალსტუხის ღეჭვითა და მიწაზე ფორთხვით დაანახა ყველას, თუ როგორი ლიდერი შეიძლება ჰყავდეს ქვეყანას... „ბოინგი“ იყოს წესიერად და დარჩენილ საპრეზიდენტო დროში კიდევ ბევრ გაფრენას მოვესწრებით...

**ბერდია ბედოიძე**

◎ ინფორმაცია

# დავით უსუფაშვილმა კობა დავითაშვილს ბიუროს სხდომა დაატოვებინა

**პარლამენტის** **თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა უმრავლესობის წევრს კობა დავითაშვილს ბიუროს სხდომა დაატოვებინა.**

**დავითაშვილი პარლამენტის ბიუროს წევრი არ არის, მაგრამ დღევანდელ სხდომას მის მიერ მომზადებული კანონპროექტების პლენარული სხდომების დღის წესრიგში ჩასმის გამო დაესწრო. მან ბიუროს მიმდინარეობისას რამდენჯერმე დასვა მის მიერ ინიცირებული პროექტების დაჩქარებული წესით განხილვის საკითხი. უსუფაშვილმა დავითაშვილს თავდაპირველად განუმარტა, რომ ინიციატივის დაჩქარებული რეჟიმით განხილვის არასწორად ითხოვდა, იმის მიუხედავად, რომ ამ მიმართულებით რეგლემენტით დადგენილ წესს კარგად იცნობს.**

**დავითაშვილის მიერ აღნიშნული თხოვნის კიდევ ერთხელ დაყენების პასუხად, უსუფაშვილმა მას მთელი კატეგორიულობით ბიურის სხდომის დატოვება მოსთხოვა.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ერევანი ჯავახეთში სეპარატიზმის ღია მხარდაჭერას ვერ გარისკავს

**ჯავახეთში, კონკრეტულად კი ახალქალაქში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ კიდევ ერთ, დიდი ოდენობით საბრძოლო იარაღის მარაგს მიაგნო. ეს რეგიონში ბოლო ერთი თვის განმავლობაში საბრძოლო მასალებისა და იარაღის აღმოჩენის მესამე შემთხვევაა. ჯავახეთის რეგიონში დიდი რაოდენობით უკანონო საბრძოლო იარაღი არსებობის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ წლების წინ ვრცელდებოდა. იყო ვარაუდებიც, რომ ეს იარაღი, შესაძლოა, ერთ დღესაც რეგიონში პოტენციურ სეპარატისტთა ხელში აღმოჩენილიყო.**

**ამასთან დაკავშირებით საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ კონფლიქტოლოგსა და ექსპერტს კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძეს ესაუბრა.**

**— ბატონო მამუკა, საიდან გაჩნდა ჯავახეთში არალეგალური იარაღის დიდი მარაგი?**

— ჯავახეთში უკანონოდ შენახული იარაღი ამ რეგიონში წლების წინ არსებული რუსული სამხედრო ბაზიდან არის გატანილი. უფრო მეტიც, სამხედრო ბაზის ხელმძღვანელობა შეგნებულად უწყობდა ხელს, ადგილობრივ მოსახლეობაში იარაღი გატანილიყო. არსებობდა ასეთი თანამდებობაც კი — ბაზის უფროსის მოადგილე ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის დარგში. რა თქმა უნდა, ადგილობრივ მოსახლეობაში ეთნიკურად სომეხი საქართველოს მოქალაქეები იგულისხმებოდნენ.

სერიოზული მუშაობა მიდიოდა ამ რეგიონში მცხოვრებ სომხურ მოსახლეობასთან დაახლოების მიზნით. სამხედრო ბაზაზე დასაქმებული კონტინგენტის დიდი ნაწილი სწორედ რომ სომხებისგან შედგებოდა. ეს იყო რუსეთის მიერ წინასწარ შემუშავებული სტრატეგია, რომელსაც საჭირო მომენტში საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენებდა.

მაგრამ შემდეგ მოხდა მათთვის არასასურველი რამ: ჯავახეთის რუსული სამხედრო ბაზიდან გატანილი რამდენიმე სნაიპერული შაშხანა ჩეჩნეთის ომში ჩეჩნებს აღმოუჩინეს. ამას მოჰყვა დიდი სკანდალი რუსეთში და რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობამ ჯავახეთის სამხედრო ბაზის ხელმძღვანელ პირებს ბაზიდან გატანილი იარაღის ამოღება დაავალა. ამ ფაქტმა ქართველ სამართალდამცავებსაც გაუხსნა ხელფეხი და იარაღის მასობრივი ამოღება დაიწყო. ქართველმა ძალოვანებმა ყოველთვის იცოდნენ იქ არსებული იარაღის არსებობის შესახებ. პერიოდულად მისი ამოღებაც ხდებოდა. წინა ხელისუფლების დროს შეიძლება ყოველთვის არ იცოდნენ, სად იყო იარაღის საწყობები, მაგრამ პუსსზე კარგად ეჭირათ ხელი და ვითარებას მუდმივად აკონტროლებდნენ. თუმცა, „კონტროლი“ შეიძლება ბრჭყალებში ჩავსვათ, რადგან ძალისმიერი მეთოდით კონტროლი ყოველთვის არ ამართლებს.

**— იმ იდეოლოგიური პროპაგანდის გათვლისწინებით, რასაც ზოგიერთი სომეხი მეცნიერი ჯავახეთში აწარმოებს, თითქოს ჯავახეთი ისტორიულად სომხეთის შემადგენელი ნაწილი იყო, რამდენად არსებობს სეპარტიზმის საფრთხე და შესაძლებელია თუ არა, ეს იარაღი ერთ დღეს სწორედ პოტენციურ სეპარატისტთა ხელში აღმოჩნდეს?**

— სეპარატიზმის საფრთხე ნაკლებად არსებობს. შესაძლოა, იყოს პოლიტიკური სეპარატიზმი, ვგულისხმობ საზოგადოებრივ განწყობილებას, მაგრამ ეს პოლიტიკური სეპარტიზმი არ სცილდება ავტონომიის მოთხოვნას. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ იდეოლოგიით გაჯერებული ხალხის საპროტესტო მასა ერთიანი არაა და რაც მთავარია, არ ჰყავთ გამოკვეთილი და ავტორიტეტული ლიდერი. ყველაზე მთავარი გარემოება კი ისაა, რომ ოფიციალური ერევანი მათ მხარს ვერ დაუჭერს და ჯავახეთს ვერ აღიარებს, რადგან ის სრულ ეკონომიკურ ბლოკადაში აღმოჩნდება. მისი სასურსათო მარაგის 90 პროცენტი საქართველოს გავლით შედის, რომ აღარაფერი ვთქვათ, ენერგომომარაგებაზე.

სომხეთის საქართველოზე დამოკიდებულების ხარისხი იმდენად მაღალია, რომ ოფიციალური ერევანი ჯავახეთში სეპარატიზმის ღია მხარდაჭერას ვერ გარისკავს. რუსებს თავიდან ჰქონდა ეს გეგმა და სამხედრო ბაზიდანც იარაღის დარიგებაც ამიტომ ხდებოდა, მაგრამ ეს გეგმა ჩაეშალათ. ერევანი არ ჩაერთო ამ გეგმაში და ის იარაღიც თავად შეუტრილდათ ცუდად.

# რუსეთთან ომის მონაწილე ქართველები ავღანელ მსროლელებს ასწავლიან

## თბილისში მოიფიქრეს, თუ როგორ გახადონ თავიანთი არმია სასარგებლო ნატოსთვის

ნატოს წასვლის შემდეგ ავღანეთიდან ამ ქვეყნის სამხედროების მომზადებასა და სწავლას დაიწყებს საქართველო. უწინარეს ყოვლისა, საკითხი შეეხება მთის მსროლელებს — მათ ასწავლიან საჩხერის სპეციალიზებულ ცენტრში.

აკადემიის თითქმის ყველა მასწავლებელს აქვს 2008 წელს რუსეთთან ომის საბრძოლო მოქმედების გამოცდილება.

ამის შესახებ წინასწარი შეთანხმება საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ გააფორმა ავღანეთის პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობასთან ამ ქვეყანაში თავისი ვიზიტის დროს. საქართველოს თანამშრომლობის დეტალებს აკონკრეტებენ მისი დასავლელი პარტნიორებიც — ეს დაიწყება მომავალი წლის პირველ ნახევარში.

**— ავღანელთა სწავლების საკითხს ჩვენ განვიხილავდით საქართველოს თავდაცვის აკადემიაში გორში და საჩხერის მთის მსროლელთა ცენტრში, — განაცხადა ქართველმა მინისტრმა. — ჩვენ მზად ვართ, მივაწოდოთ ჩვენი პოტენციალი, ავღანეთის მხარემ კი ისურვა მისი გამოყენება.**

საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ამზადებენ ოფიცრებს რვა სპეციალობით. ამჟამად აქ არ არიან მსმენელები უცხოეთიდან, თუმცა, ასეთების მომზადების პრაქტიკა არის. მაგალითად, სამი კვირის განმავლობაში აქ ინტენსიურად ასწავლიდნენ რუსულ ენას ვესტ-პოინტის კადეტებს. ჩვენი გაზეთის წყაროები თავდაცვის სამინისტროში ამბობენ, რომ პირველ წელს ავღანელებს ასწავლიან ინგლისურად, ამასთან ერთად გზად ქართულ ენასაც. შემდეგ სამხედრო მეცნიერებას მათ შეასწავლიან შოთა რუსთაველის ენაზე. ამ უმაღლესი სასწავლებლის ყოფილმა რექტორმა გიორგი თავდგირიძემ ჩვენს გაზეთს უთხრა, რომ აკადემიას ყოველწლიურად შეუძლია, გამოუშვას „რამდენიმე ათეული ოცეულის მეთაური ავღანეთისთვის“.

ავღანეთის კიდევ უფრო დიდ ინტერესს, ამ ქვეყნის ლანდშაფტის გათვალისწინებით იწვევს საჩხერის ცენტრი, რომელიც ექვსი წლის წინათ ააშენეს საფრანგეთის მხარდაჭერით. ამ ბაზას უკვე აქვს მოსამზადებელი ცენტრის სტატუსი ნატოს პროგრამით „პარტნიორობა მშვიდობისთვის“. ცენტრი უპასუხებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სტანდარტებს. თავდაპირველად საფრანგეთის ოფიცრები აქ ამზადებდნენ ქართველებს, ახლა კი უკვე ქართველი ინსტრუქტორები საბრძოლო მოქმედებათა გამოცდილებას მთებში აწვდიან უცხოელ პარტნიორებს. თითქმის ყველა მასწავლებელს აქვს 2008 წელს რუსეთთან საბრძოლო მოქმედების გამოცდილება, თუმცა, უარს აცხადებენ დეტალების გახმაურებაზე საიდუმლოების თვალსაზრისით.

კურსების ხანგრძლივობა 3-დან 5 კვირამდეა. მარტო ამ ზაფხულში აქ მომზადება გაიარეს ნორვეგიის, ესტონეთის, სომხეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ლატვიის სამხედროებმა. საჩხერის ცენტრში ჩვენ გვაცნობეს, რომ უმალვე შეეძლოთ მიეღოთ 30 ავღანელი სამხედრო, მოამზადებდნენ მათ ეტაპობრივად იმისთვის, რომ შემდგომში ისინი გახდნენ ინსტრუქტორები და იმუშაონ ადგილობრივ კონტინგენტთან ერთად თავიანთ სამშობლოში. სწავლება უცხოელებისთვის აქ მიმდინარეობს ინგლისურ, ფრანგულ, თურქულ და რუსულ ენებზე.

როგორც ჩვენ საქართველოს გენერალური შტაბის ყოფილმა უფროსმა ვლადიმერ იმნაძემ გვითხრა, საქართველოში სამხედროების მომზადება ავღანეთისთვის „გახდება მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოს ნატოში ინტეგრაციის მიმართულებით“. საქართველოს სასაზღვრო ჯარების ყოფილმა სარდალმა ვალერი ჩხეიძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ თავიანთი გამოცდილება ავღანელებს შეიძლება გადასცენ ქართველმა მესაზღვრეებმაც.

ოფიცრების სწავლება ავღანეთის არმიისთვის — ახალი როდია საქართველოსთვის, ადრე ქართველი სპეციალისტები ამზადებდნენ არტილერისტებს, მაგრამ ამჟამინდელ ჩანაფიქრს საქართველოს და ნატოს ურთიერთობანი გაჰყავს „სრულიად ახალ დონეზე“, განაცხადა სამხედრო-პოლიტიკური ჟურნალის „არსენალის“ მთავარმა რედაქტორმა ირაკლი ალადაშვილმა.

**— ჩვენ არა მხოლოდ ვაგზავნით ჯარისკაცებს ნატოს მისიაში, ჩვენ ვთავაზობთ ხარისხობრივად სხვაგვარ, მზა პროდუქტს, — ამბობს იგი.**

იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც არ შედიან ნატოში, საქართველოს ავღანეთში ჰყავს რიცხობრივად ყველაზე დიდი კონტინგენტი. ამჟამად იქ საქართველოდან 1675 სამხედრო მსახურობს, ავღანეთში ოპერაციის წლებში 18 ქართველი დაიღუპა.

ირაკლი ალადაშვილი დარწმუნებულია, რომ საქართველოს წვლილს მაღალ შეფასებას აძლევენ დასავლელი პარტნიორები, თუმცა ეჭვი ეპარება, რომ ეს დაახლოებს თბილისს ალიანსთან.

**— მთავარი პრობლემა პოლიტიკური ხასიათისაა. ეს რუსეთის პოზიციაა. უნდა თუ არა ეს ნატოს, იგი ანგარიშს უწევს მოსკოვის პოზიციას, — ამბობს იგი.**

ამას გარდა, ამბობს ალადაშვილი, 2008 წლის ომმა „საქართველო ნატოსგან რამდენიმე წლით მოისროლა“.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე

**სილვიო ბერლუსკონიმ გამოაცხადა თავისი ჯვრისწერის შესახებ სილამაზის ყოფილ დედოფალთან, რომელიც 49 წლით ახალგაზრდაა**

**„დიახ, ეს ოფიციალურია. მე ჯვარი დავიწერე მასზე. ის ნეაპოლიდანაა, ჰქვია ფრანჩესკა და იგი არა მარტო ლამაზია გარეგნულად, არამედ შესანიშნავია სულიერადაც. იგი ძალიან კარგად მეპყრობა და ეს ორმხრივია“, — განაცხადა იტალიის ყოფილმა პრემიერმა ერთ-ერთი არხის გადაცემაში. 76 წლის პოლიტიკოსი ადრე ორჯერ იყო დაქორწინებული.**

* * *

**პალესტინელი დევნილების რიცხვი, რომლებიც სირიაში ავიადარტყმის შესახებ დაიღუპნენ, 25-მდე გაიზარდა**

**ადრე იტყობინებოდნენ 10 მსხვერპლის შესახებ. ყველა დაღუპული იმალებოდა მეჩეთში, რომელსაც მოხვდა სირიის არმიის მხრიდან ერთ-ერთი გამანადგურებლის მიერ გაშვებული ჭურვი. ბევრი პალესტინელისთვის, მათი ოდენობა სირიაში 500 ათასია, იარმუკზე დარტყმა შეიძლება გახდეს უკანასკნელი წვეთი, მიაჩნიათ ექსპერტებს.**

* * *

**რუსეთი გავიდა ყველაზე მილიტარიზებული ძვეყნების სიის სათავეში, „პარადოქსულად“ გაუსწრო აშშ-სა და ჩინეთს**

**მილიტარიზაციის გლობალურ ინდექსში, რასაც ყოველდღიურად ადგენს ბონის კონვერსიის საერთაშორისო ინსტიტუტი, რუსეთმა დაიკავა მეოთხე სტრიქონი ისრაელის, სინგაპურისა და სირიის შემდეგ. პრესის აზრით, ექსპერტების ლოგიკა გვაიძულებს, ეჭვი შევიტანოთ მათ ობიექტურობაში: ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინეთი, რომლებიც თავდაცვაზე მსოფლიოში ყველაზე მეტს ხარჯავენ, ელირსნენ მხოლოდ 30-ე და 82-ე პოზიციებს.**

* * *

**ნეპალის არმია ნადირობს ველურ მკვლელ სპილოზე, რომელიც სოფლებს ესხმის თავს**

**გასულ შაბათს ცხოველი შევიდა ჩიტვანის ეროვნული პარკის მახლობელ სოფელში და თავს დაესხა ხანდაზმულ ცოლ-ქმარს, რომლებსაც თავის ერთ-ერთ სახლში ეძინათ. სპილომ გამოიტაცა ისინი ლოგინიდან და ფეხით გათელა სიკვდილამდე. მთლიანად სამი თვის განმავლობაში სპილომ ოთხი კაცი მოკლა.**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ◎ ნეტავი არ წამეკითხა!..

# როგორ დავკარგე ტარიელი!..

**ნეტა, არ ამეღო ხელში „ლიტერატურული გაზეთის“... ახალი ნომერი!**

ტარიელ ჭანტურიას „ვიკილიქსის“ რეკლამამ მაცდუნა: რომ მეგონა, ჩემი საყვარელი პოეტის, ჩვეულებისამებრ, ნიჭიერად, მახვილგონივრულად, პროზად დაწერილ ნაფიქრ-ნააზრევს წავიკითხავდი, სამწუხაროდ, უსაშველოდ „გამიტყდა“: ტარიელ ჭანტურია, ასევე, ჩემს საყვარელ პოეტს შოთა ნიშნიანიძეს რაებს არ აკადრებს და მე ვერ შევძელი პირში წყალი ჩამეგუბებინა, ერთი-ორი სიტყვით არ გამოვხმაურებოდი ჭანტურიას მოუზომავ „ტია-ტიას“.

ღმერთო მომკალი, დიდ ქართველ პოეტს (არა მარტო ჩემი აზრით) შოთა ნიშნიანიძეს ჩემი მეურვეობა რაში სჭირდება, უბრალოდ, სინდისის ქენჯნამ შემაწუხა, აუცილებლად გამომეხატა ჩემი დამოკიდებულება ამ ბოღმიანი ნაწერისადმი.

თავის „ვიკილიქსში“ ბატონი ტარიელ ჭანტურია ღია წერილს სწერს ქალბატონ თამარ ჩიჯავაძეს — შოთა ნიშნიანიძის ქვრივს, შესანიშნავ ლიტერატორსა და მთარგმნელს. ეს გამოიწვია იმან, რომ ჯერ კიდევ რამდენიმე ხნის წინათ, ტარიელ ჭანტურიამ „ლიტერატურულ გაზეთში“ გააკრიტიკა შოთა ნიშნიანიძე, და რა გასაკვირია, ქალბატონმა თამარ ჩიჯავაძემ ამავე გაზეთში გარდაცვლილი მეუღლის მაგივრად უპასუხა კრიტიკოსს. ჰოდა, აგერ, ძვირფასო მკითხველო, ტარიელის გამოხმაურებაც. ნახეთ, ერთ ადგილას განსაკუთრებით, რა „კეთილსინდისიერად“ „ხმაურობს“ იგი:

**ქალბატონო თამარ!**

**შეუძლებელია, არ გახსოვდეთ სამარცხვინო შემოქმედებითი ანგარიში, რომელიც თქვენმა მეუღლემ, „კომუნისტების“ ავტორმა შოთა ნიშნიანიძემ კომპარტიის ცეკას ბიუროს ჩააბარა. მე ამ ფაქტზე დავწერე წერილი, მაგრამ დაბეჭდვისაგან თავი შევიკავე — თავშეკავების მიზეზი ერთი უბრალო ადამიანური სისუსტე გახლდათ — შოთას ლექსი, მოძღვნილი ჩემდამი („რატომ არ ვკითხულობ საჯაროდ ლექსებს“).**

**შოთა ნიშნიანიძის გაბუქებული სახელი კომპარტიის ცეკას პიარმენეჯერების დამსახურებაა, და მას არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტებასთან! შოთა ნიშნიანიძის — გვარიანი მელექსის წიგნში პოეზია სანთლითაა საძებარი! ცუდი იქნება, თუ მაინცა და მაინც თქვენ იქნებით ის გამღიზიანებელი, რაც მაიძულებს, ის უართქმული წერილი ბოლოს მაინც გამოვაქვეყნო და ვთქვა თქვენს ყოფილ მეუღლეზე სიმართლე, რასაც ისტორია ცოტა მოგვიანებით უსათუოდ იტყვის!**

**გამორიცხული არც ისაა, თქვენი ეს ჩანაფიქრი სულაც შურისგება იყოს — სხვებს ალანძღვინოთ ადამიანი, რომელმაც საშინლად გატკინათ გული — მიგატოვათ და სხვაში გაგცვალათ... მე ამდენი აღარ ვიცი! მე ის ვიცი მხოლოდ, რომ ამგვარი წერილით არ უნდა ჩვენებოდით საზოგადოებას.**

* * *

გავოცდი, გავოგნდი, ამის წამკითხველი! რა მოხდა, ასეთი რა დაუშავა ჭანტურიას დინჯმა, დარბაისელმა უბოროტო, მეტაფორებით დახუნძლულმა, ლექსის კაცმა შოთა ნიშნიანიძემ?! ტარიელ ჭანტურია არ არის იმის „ჩიტი“, არ იცოდეს, თუკი მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყავი, ანგარიშიც უნდა ჩაგებარებინა ცეკას ბიუროსთვის.

ტარიელ ჭანტურია არ არის იმის „ჩიტი“, არ იცოდეს, იმ „შავბნელმა“ კომუნისტურმა ეპოქამ რომ დააწერინა გალაკტიონს, გენიალური ლექსების გვერდით — „ავტომობილი და ურემი“, „კოლექტივო, მხარი მხარს“, პირველმა ქართულ პოეზიაში რომ ახსენა მან **ლენინი,** როგორ შექმნა გიორგი ლეონიძემ პოემა „სტალინის ბავშვობა და ყრმობა“... და, ასე რამდენი... შოთა ნიშნიანიძე — პოლიტიკური შედევრის — „კომუნისტების“ ავტორი კი თურმე საირონიოა... იქ ორდენების რაოდენობაზეც აქვს „კბილი გაკრული“ ბატონ ტარიელს. სააკაშვილის „ბრწყინვალეების ორდენზე“ ნაკლები არც ერთი არ ყოფილა ის ჯილდო!..

**„გვარიანი მელექსის“** წიგნში პოეზია რომ სანთლით ეძებეთ და ვერ იპოვეთ, ადექით და შოთა ნიშნიანიძის პირადულ ამბებს გადასწვდით, ტარიელ ბატონო, ხანმოთეულ ქალბატონ თამარს გულს სტკენთ და ბაზრის დედაკაცივით ეჭორავებით, თუ როგორ გაცვალა იგი შოთამ სხვა ქალში...

ეეეეჰ... კარგით, რა!..

ბოლოს, თუ კაცი ხარ, გაგვანდე, „გვარიანი მელექსის“ იმ წიგნში თქვენ რომ სანთლით ეძებდით ჭეშმარიტ ლექსს, ნუთუ არ იყო დაბეჭდილი „ციხე-ტაძართა საგალობელი“, „ხარი“, „მცხეთის ქალაქს მირონი დუღს“ „ვეფხვი“, „მაფშალია მომკვდარა“, „აფხაზური კანტატა“, „გული“, რომლის, მართლაც გულშიჩამწვდომი სტრიქონები, განუმეორებელ ეფექტს მატებენ გიორგი ცაბაძის მელოდიას...

**გულო, სანამ გული გქვია,**
**გულო, უნდა მტკიოდე,**
**გულო, უნდა მიერთგულო,**
**მიმყვე საიქიომდე...**

დიახ, გულმტკივანი იყო იგი, მისი ზოგი, ვითომ მეგობრის, მოშურნეობის და უმადურობის გამო, სამშობლოს უბედურების, აფხაზეთის ტრაგედიის გამო... გულმტკივანი ამბობდა: „ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამდელო, ამორძალი ხარ, მკერდმოჭრილი, უსაქართველოდ!“

ასე გულმტკივანი, შეურცხვენელი მიეახლა იგი „დიდ საქართველოში“ დავანებულ თანამოკალმეთ, ქართული პოეზიის რაინდებს — მათი ღირსი, მათი ტოლი და სწორი, რომელსაც, სიცოცხლეში, არც ნაღდ პოეზიასთან წილნაყარი ლექსის წერა შეშლია, არც თავის სათაყვანო ცოლ-შვილთან ღირსეული ურთიერთობა და არც „მუზის“ ტრფიალი, რაც დიახაც ამშვენებს (ამასაც ხომ თავი უნდა!) ჭეშმარიტ შემოქმედს.

* * *

— რა გეშარებოდა... ტარიელის ყბაში მტერი ჩავარდა... იმ კაცს არ დაუკლია შენთვის კაი სალამი, საქებარი წერილი და საქებარი ლექსი... — ჩამძახის ერთი ხმა, რომელსაც აბსოლუტურად ვეთანხმები, თუმცა ასე ვუპასუხებ:

— თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში, როდესაც ჩვენს რედაქციაში და, მეტადრე ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში ხშირად მოდიოდა, განსაკუთრებით მეგობრობდა ჩემთან შოთა ნიშნიანიძე, რაც, დიახაც, მეამაყებოდა და დღესაც მეამაყება.

მე არ შემეძლო (აკი, დასაწყისშივე ვთქვი) წამეკითხა ჭანტურიას პასკვილი და გაზეთი გვერდზე გადამედო...

„ვინ ერთგულია, ვინ არა, ქვეყანამ დაინახოსა“. ასეა ეს!

**ვილენ მარდალეიშვილი**

## ◎ დამარცხებული სიკვდილი

# მაღალი და მაღლით მხედი კაცი

**მაღალი და მაღლით მხედი კაცი იყო ბატონი შოთა როსტომაშვილი, თელავის რაიონული გაზეთის რედაქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

სამი ათეული წელი გავიდა მისი ამქვეყნიდან გარდასვლის დღიდან, მიმდინარე წლის 19 დეკემბერს სრულდება 100 წლისთავი მისი დაბადებიდან. როგორ უხდებოდა ერეკლეს სატახტო ქალაქს მისი გამოჩენა. რაინდული შემართებით მოდიოდა, ამაყი, დარბაისელი, კაცური კაცის ეშხსა და სილამაზეს ჰფენდა ირგვლივ ყველაფერს. მისალმებაც ხომ რაინდული იცოდა, თავაზიანი, სიყვარულითა და კეთილშობილებით გაცისკროვნებული. როგორ შეხაროდა თავისი ქვეყნის მჭევრ ფერებს, პატარა ბავშვივით სიხარულს ჰგვრიდა ადრიან გაზაფხულზე ყვავილების კვირტების სკდომა ნუშისა და ალუჩის ხეებზე. მზად იყო მთელი დედამიწა ერთ ხელეურად შეეკრა და გულში ჩაეხუტებინა. ძლიერ ეამაყებოდა ერეკლეს სატახტო ქალაქში რომ ცხოვრობდა. ენით აუწერელი ხიბლით იმსჭვალებოდა, როცა უცქერდა ჭაღარა კავკასიონს, ყაყაჩოების ცეცხლით აბრდღვიალებულ ალაზნის ველსა და ვარდისფრად აფეთქებულ ატმის ბაღებს.

მამულისადმი სიყვარული მას თვალშეუდგამ სიმაღლეზე ჰქონდა ატანილი და ეს იმ გაზეთის ფურცლებზეც ძალუმად იგრძნობოდა, რომელსაც რამდენიმე ათეული წელი ხელმძღვანელობდა როგორც რედაქტორი.

„ალაზნის განთიადი“ სასოფლო-სამეურნეო მიმართულების გაზეთი გახლდათ, მაგრამ ბუნებით სილამაზისა და მშვენიერების ტრფიალი ბატონი შოთა დიდ ადგილს უთმობდა გაზეთში ლიტერატურის , თეატრის, კინოსა და ხელოვნების სხვა დარგების ირგვლივ წარმოშობილ პრობლემურ საკითხებს. არაერთმა ნიჭიერმა პოეტმა და ლიტერატურათმცოდნემ აიდგა ფეხი მისი გაზეთის ფურცლებზე. ბატონი შოთა ფართოდ აშუქებდა სახალხო მთქმელების შემოქმედებას. მისი თაოსნობით არაერთი დისკუსია გაიმართა თელავის, როგორც ისტორიული ქალაქის წარმოშობაზე, თელავსა და მის შემოგარენში არსებულ ისტორიულ ძეგლებზე, იყალთოს აკადემიის, თელავის საფილოსოფოსო სკოლისა და თელავის საასულიერო სემინარიის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

ბევრი, კიდევ ძალიან ბევრის დაწერა შეიძლება ბატონი შოთას მრავალმხრივ ნაყოფიერ მოღვაწეობაზე, მაგრამ მცირე მოცულობის საგაზეთო წერილი ყველაფერს ვერ იტევს. მხოლოდ იმის თქმაღა შეიძლება, რომ ბატონი შოთა როსტომაშვილი ვალმოხდილი წავიდა ამქვეყნიდან, პირნათელი მიუვიდა თავის წინაპრებს, სააქაოდ კი კაცური კაცის სახელი დაუტოვა თელაველებს, შვილებს, შვილიშვილებს, მთელ შთამომავლობას. ბატონო შოთა, ერთხელ კიდევ შევახსენებთ თქვენს დიდ სამეგობროს, თქვენი ლამაზი ოჯახის წევრებს, თელაველ საზოგადოებრიობას პოეტის ფარნაოზ რაინაულის თქვენს სახელზე ლოცვად აღვლენილ სიტყვებს:

**„შენ დადიოდი როგორც**
**სინდისი,**
**როგორც სიკეთის**
**გასხივოსნება!“**

ზეციურ საუფლოში ამყოფოს უფალმა თქვენი ნათელი სული!

**ოთარ ხუციშვილი**
**ლამარა იანვარაშვილი**

**„საძართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მადლიერებითა და სიყვარულით უერთდება ზემორე სტრიქონებს და იგონებს თავის დიდებულ თელაველ კოლეგას, პოეტის თქმისა არ იყოს, მართლაც მოარულ სინდისს, რომელმაც თავისი საკუთარი, როსტომაშვილისეული შთამბეჭდავი კვალი დატოვა დროშიც და მეოცე საუკუნის ქართულ ჟურნალისტიკაშიც. იგი, როგორც ღირსეული მოქალაქე და ღირსეული პროფესიონალი, მარადიული ალაზნის განთიადივით ყოველდღე სიყვარულისფრად შეღებავს თავისი ხსოვნის სიცოცხლის ცას.**

## ◎ პატივმიგება

# დიდ მაესტროს - დიდი პატივი

**რასაც პატივცემული მკითხველი აქ წაიკითხავს — ოდენ რიგითი დამსწრისა და გამოუსწორებელი მელომანის შთაბეჭდილებებია, დაუვიწყარი საღამოდან გამოყოლილი.**

საღამო კი 13 დეკემბერს გაიმართა კონსერვატორიის დიდ დარბაზში, პირთამდე სავსეში, — მართლა პირთამდე, იარუსების ჩათვლით; და დიდ მაესტროს, — მომღერალს, პედაგოგს, დასტურ სახალხო პიროვნებას **ნოდარ ანდღულაძეს** მიეძღვნა, 85 წელშესრულებულს.

შეკრების ორგანიზატორი გახლდათ ლადო ათანელის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „თანადგომა“ და თვით ლადო ათანელიც, ამ ზეიმობისათვის თბილისს საგანგებოდ ჩამოსული. კიდევ ზურაბ სოტკილავა, მარინე ნაჭყებია ჩამოფრინდნენ სპეციალურად. საინტერესო დეტალი: მოსკოვიდან უკვე ჩამობრძანებულ მაყვალა ქასრაშვილს სამწუხარო შეტყობინება დაეწია — ლეგენდარული გალინა ვიშნევსკაია გარდაცვლილა და ქალბატონ მაყვალას, დიდი თეატრის ერთ-ერთ სამხატვრო ხელმძღვანელს, სასწრაფოდ უკან დაბრუნება სთხოვეს.

...ბატონი ნოდარი ვერ გამოდის შინიდან ფიზიკური მდგომარეობის მიზეზით, მაგრამ ბევრნაირად იყო ჩვენთან, ჩვენს შორის: ადრინდელი კინოკადრებით, რომლებშიც დიდი მამის დავით ანდღულაძისაგან „ნამემკვიდრეები“ საუცხოო ტენორული ხმით ასრულებს ვოკალურ ნომრებს; ამდენი ნიჭიერი მოწაფით სულ სხვადასხვა „პროფილისა“ (სოპრანო, კოლორატურა, მეცო-სოპრანო, ტენორი, — ლირიკული თუ დრამატული, ბარიტონი); სულ ახლახან ჩაწერილი ტელემონოლოგით, სადაც ასე შთამბეჭდავად და დარბაისლური ქართულით შეაჯამა გრძელი ცხოვრებისეული გზა; გამომსვლელთა მოგონებებში გაცოცხლებული ეპიზოდებით ამ გზისა; გამომსვლელები კი ცნობილი თუ ცნობადი სახეები გახლდნენ: მსახიობები გივი სიხარულიძე და ნოდარ მგალობლიშვილი, ოპერის თეატრის დირექტორი დავით საყვარელიძე, ენათმეცნიერი შუქია აფრიდონიძე (არ გაგიკვირდეთ ამ დარგის თვალსაჩინო წარმომადგენლის აქ გამოსვლა: ნოდარ ანდღულაძე ხომ ენათმეცნიერების „ღალატით“ მოვიდა საოპერო ხელოვნებაში...), კულტურის აწინდელი მინისტრი გურამ ოდიშარია...

როგორი მოწაფეები, როგორი ხმები აღუზრდია დიდ მაესტროს და როგორ უსახელებიათ მოძღვარი და საკუთარი თავი შორს სამშობლოს გარეთაც. მხურვალე მადლობა მათ, მხურვალე მადლობა შესანიშნავ დირიჟორს დავით მუქერიას საოპერო მუსიკის ამგვარი ზეიმის მოწყობისათვის. ყველა იუბილარისათვის მისურვებია ისეთი და იმოდენა სითბო და სიყვარული, დარბაზში რომ იგრძნობოდა და იდგა.

...მრავალი წლის წინათ ამ სტრიქონების ავტორს ჰქონდა პატივი ნოდარ ანდღულაძის საენათმეცნიერო დისერტაციის დაცვაზე და მერე „კარმენში“ ხოზეს პარტიით დებიუტზე დასწრებისა და შესაბამისად, დისერტანტისა და მომღერლის ტრიუმფის მოწმეობისა... ახლა 85 წლისთავის იუბილესაც შევესწარი...

ბატონი ნოდარი 13 დეკემბერსაა დაბადებული. ვინ თქვა, 13 თარსი რიცხვიაო...

**თამაზ ეგანოიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ჭიდაობა

# უმეტესობა ჩემპიონს ენდო

**ასეთი ხანგრძლივი საარჩევნო ყრილობა საქართველოს სპორტის ისტორიას არ ახსოვს: ქართველ მოჭიდავეთა ფორუმმა ოთხ საათზე მეტ ხანს გასტანა, იყო აზრთა ჭიდილი, მწვავე კრიტიკაც, მაგრამ სპორტის სამინისტროს საქმეტო დარბაზში შეკრებილნი საბოლოოდ მაინც მეგობრებად და ერთ კოლექტივად შეკრულნი დაშორდნენ ერთმანეთს.**

ყრილობის დელეგატებმა ყოფილ პრეზიდენტ კახა გეწაძეს გაკეთებული საქმისთვის მადლობა უთხრეს, მაგრამ ხარვეზებისთვის მწვავე კრიტიკაც არ ასცდა, განსაკუთრებით ბაზების დაკარგვის გამო. გულისტკივილით აღინიშნა, რომ დიღომში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ლევან თედიაშვილის ჭიდაობის დარბაზი ძიუდოისტებს გადასცეს და სახელიც შეუცვალეს.

დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია არჩევნებმა. ფედერაციის პრეზიდენტობაზე ორგზის მსოფლიოს და ხუთგზის ევროპის ჩემპიონი, ორი ოლიმპიური ბრინჯაოს მფლობელი ლუკა კურტანიძე და გეგა გეგეშიძე იყრიდნენ კენჭს. 103 დელეგატიდან 58-მა 45-ის წინააღმდეგ კურტანიძეს დაუჭირა მხარი. ჭიდაობის ფედერაციას მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში სწორედ ის უთავკაცებს. ფედერაციის გენერალური მდივანი გახდა გიორგი ლომიძე, რომელმაც ერთი ხმით აჯობა მალხაზ ჯორბენაძეს — 48:47. ვიცე-პრეზიდენტებად თემურ ყაზარაშვილი, დიმიტრი გელაშვილი და ედიშერ მაჩაიძე აირჩიეს. კურტანიძემ ყრილობას კიდევ ერთი ვიცე-პრეზიდენტის პოსტის დამატება სთხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო. კანდიდატის ვინაობაც მაშინვე გაცხადდა — წლების განმავლობაში თბილისის სპორტის (და არა მხოლოდ) სამსახურის ხელმძღვანელი ვლადიმერ კანკავა. კურტანიძემ დელეგატებს აღუთქვა: „სახელმწიფოს დახმარებით დავიბრუნებთ დაკარგულ დარბაზებს; დიდი ჩემპიონები და მათი აღმზრდელი მწვრთნელები აქტიურად ჩაერთვებიან ჭიდაობის განვითარების გრძელვადიან პროგრამაში, ხოლო ამის უკეთ კოორდინაციის მიზნით შეიქმნება „ჩემპიონთა კლუბი“; ჩატარდება სპორტსმენთა და მწვრთნელთა ზუსტი აღრიცხვა. შეიქმნა მრჩეველთა საბჭო, რომელსაც სათავეში სახელოვანი რომან რურუა ჩაუდგა“.

**ლექსო ციცაძე**

◎ კალათბურთი

# წარმატების რეცეპტი

**სუპერლიგის IX ტურის ცენტრალურ შეხვედრებში გადამწყვეტი სიტყვა გამარჯვებულთა ტანმაღალმა ლეგიონერებმა თქვეს, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ წარმატების რეცეპტი ფარქვეშ წარმატებულ ბრძოლაშია საძებნი.**

კერძოდ, „ქუთაისისა“ და შსს აკადემიის მატჩის გმირი 26 ქულითა და 13 მოხსნით ძალოვანთა გიგანტი კირკ არჩიბეკი გახდა, ხოლო „რუსთავისა“ და „ოლიმპის“ დუელში ასევე სტუმართა ცენტრებმა ჰოგერმა და მილოშევიჩმა ივაჟკაცეს.

„ქუთაისი“ — შსს აკადემია 70:87, „რუსთავი“ — „ოლიმპი“65:76, „არმია“ — „დინამო“ 100:81, „სამედიცინო“ — სტუ 85:77, თსუ — „სოხუმი“ 92:78. ისვენებდა „ბათუმი“.

**სატურნირო მდგომარეობა:** შსს აკადემია, „ოლიმპი“, „რუსთავი“ — 7-7, „არმია“ — 6, „ქუთაისი“ — 5, „დინამო“, თსუ — 4-4, „ბათუმი“ — 3, „სოხუმი“, „სამედიცინო“, სტუ — 1-1 მოგება.

**ხვალ თბილისის სპორტის სასახლეში ითამაშებენ:** „არმია“ — „ბათუმი“ (12 საათზე), „დინამო“ — შსს აკადემია (14 საათზე), თსუ — „ქუთაისი“ (16 საათზე), სტუ — „ოლიმპი“ (18 საათზე) და „სამედიცინო“ — „სოხუმი“ (20 საათზე). ისვენებს „რუსთავი“.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ მძლეოსნობა

# აზარაშვილი რიგგარეშე ყრილობას ითხოვს

**საკმაოდ ხმაურიანი გამოდგა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ყრილობა, თუმცა იგი მშვიდად დაიწყო. განვლილ ორ წელიწადში ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ფედერაციის პრეზიდენტი ალექსი ახვლედიანი, რომელმაც განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ 2011 წელს ახმეტელმა ლაშა ღულელაურმა ტრაბზონში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე სამხტომში 15,49 მეტრით მეორე ადგილი დაიკავა, შარშანდელ სიგრძეზე ხტომაში ახალგაზრდებს**

**შორის საქართველოს რეკორდი (7,56) დაამყარა.** ახალციხელმა ენდრიკ ზილბერშტეინმა 400 მეტრზე რბენაში დარბაზებისთვის ქვეყნის მიღწევა გაუმჯობესა (48,07). 2012 წელს სიმაღლეზე ხტომაში ზურაბ გოგოჭური „დინამო-არენაზე“ 2,26 მეტრზე გადებულ თამასას გადაევლო და 1984 წელს სერგეი გოლუბოვის მიერ დამყარებული რეკორდი მოხსნა. დავით ილარიანმა 110 მეტრზე თარჯრბენში (13,58), ბოლესლავ სხირტლაძემ (8,12) და მაიკო გოგოლაძემ (6,67) კი სიგრძეზე ხტომაში გაუმჯობესეს ქვეყნის მიღწევები. ყრილობაზე ითქვა ისიც, რომ დიდი ხნის შემდეგ დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში გათბობა ჩაირთო.

საანგარიშო მოხსენების შემდეგ გაიმართა არჩევნები. პრეზიდენტის პოსტზე ალექსი ახვლედიანის კანდიდატურას 39-დან 37-მა დელეგატმა დაუჭირა მხარი. პირველ ვიცე-პრეზიდენტად ზურაბ ჯიქია, ვიცე-პრეზიდენტად ვასილ ბერიშვილი აირჩიეს. გენერალურ მდივნად ახვლედიანმა მაია აზარაშვილის კანდიდატურა დაასახელა. სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა შემოთავაზებაზე უარი განაცხადა, რადგან ყრილობა არალეგიტიმურიაო: „არ გამართულა წინასაარჩევნო კამპანია, რადგან ფედერაცია ბოლო დრომდე მალავდა დღის წესრიგს. ფედერაციის ხელმძღვანელად მოსვლის სხვა მსურველებს თავიანთი კანდიდატურების წარდგენის საშუალება არ მიეცათ, მათ შორის ბირთვის კვრაში საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონ ტარიელ ბიწაძეს და საქართველოს რეკორდმენ ბესიკ გოცირიძეს, არც მე. თბილისის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი ბედოშვილი საერთოდ ყრილობის დელეგატიც არ ყოფილა, ისევე, როგორც საქართველოს ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი თამარ შანიძე. ყოველივე ამის შემდეგ ყრილობის რომელ ლიგიტიმურობაზე შეიძლება ლაპარაკი. ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ სამართლიანი რიგგარეშე ყრილობა ჩატარდეს, რათა არჩევანის საშუალება იყოს“, — აღნიშნა მაია აზარაშვილმა. ფედერაციის პრეზიდენტმა სეულის ოლიმპიადის პრიზიორის ბრალდებები უარყო და განაცხადა — ყრილობა ფედერაციის წესდების სრული დაცვით ჩატარდაო. „ახლა დაპირისპირების დრო არ არის. ვისაც ქართული მძლეოსნობისთვის სიკეთე უნდა, გვერდით დაგვიდგეს და ერთად ვაკეთოთ საერთო საქმე“, — თქვა ალექსი ახვლედიანმა.

**გივი გაგუა**

◎ ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**ევროვნული ჩემპიონატის XX ტური. „დინამო“ — „ბაია“ 2:0, „ბათუმი“ — „დილა“ 1:3, „ტორპედო“ — „ვიტ ჯორჯია“ 2:0, „ზესტაფონი“ — „სიონი“ 1:0, „მეტალურგი“ — „ჩიხურა“ 1:1, „მერანი“ — „კოლხეთი“ 4:0.**

**სატურნირო მდგომარეობა:** „დინამო“ — 49, „დილა“ — 43, „ტორპედო“ — 41, „ჩიხურა“ — 39, „ბაია“ — 35, „ზესტაფონი“ — 31, „მეტალურგი“ — 27, „მერანი“ — 23, „ვიტ ჯორჯია“ — 20, „სიონი“ — 17, „ბათუმი“ — 12, „კოლხეთი“ — 3 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** „დინამო“ — „მერანი“, „დილა“ — „კოლხეთი“, „ჩიხურა“ — „ტორპედო“, „სიონი“ — „მეტალურგი“, „ბაია“ — „ზესტაფონი“, „ვიტ ჯორჯია“ — „ბათუმი“.

* * *

**მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ფინალი.** „კორინტიანსი“ — „ჩელსი“ 1:0 (გერერო). **მატჩი III ადგილისთვის.** „მონტერეი“ — „ალ აჰლი“ 2:0.

* * *

**იტალია.** „იუვენტუსი“ — „ატალანტა“ 3:0, „ლაციო“ — „ინტერი“ 1:0, „ნაპოლი“ — „ბოლონია“ 2:3.

**ესპანეთი.** „ბარსელონა“ — „ატლეტიკო“ 4:1, „რეალი“ — „ესპანიოლი“ 2:2, „სევილია“ — „მალაგა“ 0:2.

**ინგლისი.** „მანჩესტერი“ — „სანდერლენდი“ 3:1, „ნიუკასლი“ — „სიტი“ 1:3, „ტოტენჰემი“ — „სუონსი“ 1:0.

**გერმანია.** „ბაიერნი“ — „გლადბახი“ 1:1, „ლევერკუზენი“ — „ჰამბურგი“ 3:0, „ჰოფენჰაიმი“ — „ბორუსია“ 1:3.

**გიორგი შოთაძე**

◎ ჩოგბურთი

# ისევ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე

**ქართველმა** ჩოგბურთელმა **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** ანტალიაში ზედიზედ მეორე 10.000-იანი საერთაშორისო ტურნირი მოიგო და რეიტინგი 18 ქულით გაიმდიდრა. ჩვენებურმა ნახევარფინალში გერმანელი მათიას ვუნერი დაამარცხა - 6:2, 6:1, გადამწყვეტ პაექრობაში კი ფრანგი რომან ჟუანის (მე-2 ნომერი) მძლეველ ესპანელს — გილერმო ოლასოს დაუყრევინა ფარ-ხმალი — 6:2, 6:2.

ბასილაშვილი ანტალიაში დარჩა და დღეიდან კიდევ ერთ 10.000-იან ტურნირში ჩაებმება, სადაც ისევ პირველ ნომრადაა განთესილი.

**ნატა ნიბლაძე**

# თეირანსა და რიგაში

**13 ძვეძნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ მსოფლიოს თასის ეტაპზე, რომელსაც ირანის დედაქალაქმა უმასპინძლა. შეჯიბრებაში სამი ქართველი მოხმალავე იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის (კადეტებში მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი მიხეილ მარდალეიშვილი ავადმყოფობის გამო შეჯიბრებაზე ვერ გაემგზავრა). თავი გამოიჩინა სანდრო ბაზაძემ.** ახალგაზრდა მოხმალავემ ჯგუფში ყველა მეტოქეს სძლია. პლეი-ოფში პირველი შეხვედრა ირანელ ასკარ ზადეხს მოუგო 15:5, შემდეგ კაზბეგ სერკებაიევი (ყაზახეთი) ჩამოიშორა გზიდან — 15:7, მეოთხედფინალში, ასევე, იოლად დაამარცხა საჯად ფურსალმანი (ირანი) — 15:8, ნახევარფინალში ნურჟან ქარიმი (ყაზახეთი) დაჯაბნა — 15:10, გადამწყვეტი პაექრობა კი მასპინძელ ფარსად ბახერ არესბარანთან დათმო -13:15. მესამე ადგილებზე ყაზახები — ანისკოვი და ქარიმი გავიდნენ. დავით უკლებამ და საბა სულამანიძემ, შესაბამისად, მე-14 და მე-16 ადგილები დაიკავეს.

ბალტიისპირეთში კადეტებმა რაპირაში გაითამაშეს ევროპის თასი. ბიჭებში იქ **ლუკა ღაღანიძემ** იყოჩაღა, რომელმაც მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო ბელარუს მეტოქესთან და მე-2 ადგილზე გავიდა.

**ვაჟა ნოსირელი**

◎ ფარიკაობა

# ისევ გოგელია უთავკაცებს

**„საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პირველად მოხმალავე მიხეილ მარდალეიშვილმა 2010 წელს კადეტების მსოფლიოს პირველობაზე მე-3 ადგილი დაიკავა, წლეულს 23 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ბექა ბაზაძემ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, სანდრო ბაზაძემ მსოფლიო და ევროპის თასის გათამაშების რამდენიმე ეტაპი მოიგო, მათ შორის ზედიზედ ორჯერ — თბილისის საერთაშორისო ტურნირი.** საქართველოს მოხმალავეთა ნაკრებმა სხვადასხვა ასპარეზობაში სძლია ინგლისის, კორეის, ესპანეთის გუნდებს, არადა, კორეელები წლეულს ლონდონში ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ. სწორედ, ქართველ მუშკეტერთა ბოლოდროინდელ წარმატებებსა და ჩვენთან ფარიკაობის ტრადიციას გაუწიეს ანგარიში ევროპის ფარიკაობის ასოციაციის მესვეურებმა და ერთხმად გადაწყვიტეს, რომ 2014 წელს მუშკეტერთა კონტინენტის ჩემპიონატს თბილისმა უმასპინძლოს“, — ასეთი ინფორმაციით წარდგა მოფარიკავეთა თავკაცი არჩილ გოგელია ფედერაციის ყრილობაზე, რომელიც სპორტის სამინისტროში გაიმართა.

საანგარიშო მოხსენების შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი, მსოფლიოს ჩემპიონი იური ოსიპოვი, გენერალური მდივანი დავით სახვაძე, მოფარიკავეთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი მერაბ ბაზაძე, რომლებმაც წარმატებებთან ერთად ხარვეზებზეც ილაპარაკეს. ყურადღება გამახვილდა მწვრთნელებისა და მსაჯების მომზადება-გადამზადებაზე, ასევე რეგიონებზე, სადაც ფარიკაობის ტრადიციები უნდა აღორძინდეს.

ყრილობის ბოლოს გაიმართა არჩევნები. დელეგატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ფედერაციის პრეზიდენტად არჩილ გოგელიას კანდიდატურას. საპატიო პრეზიდენტად იური ოსიპოვი დარჩა. პირველ ვიცე-პრეზიდენტად — ზაზა მჭედლიძე, ვიცე-პრეზიდენტებად ირინე სხირტლაძე, ლევან კირკიტაძე და არჩილ ლორთქიფანიძე, გენერალური მდივნის პოსტი კი დავით სახვაძემ შეინარჩუნა.

**ლაშა დიდია**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კვალი დროში

# ქართული სისხლის სამართლის სკოლის გამოჩრჩეული წარმომადგენელი



ქართულმა იურიდიულმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ქართველი იურისტი-მეცნიერი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი, ქართული სისხლის სამართლის სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი, პროფესორი **გიორგი ტყეშელიაძე**.

გ. ტყეშელიაძე 1929 წლის 23 თებერვალს დაიბადა ქ. ტყიბულში. იქაური საშუალო სკოლა 1947 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა. ამის შემდეგ სწავლა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გააგრძელა. სტუდენტობის წლებშივე მისი მონდომება, შემოქმედებითი აზროვნების უნარი და სიბეჯითე შეუმჩნეველი არ დარჩენიათ სასიქადულო მეცნიერ-იურისტებს, პროფესორ თინათინ წერეთელსა და ვლადიმერ მაყაშვილს.

ამან გადამწყვეტი როლი შეასრულა გ. ტყეშელიაძის მეცნიერული კვლევა-ძიების მიმართულების განსაზღვრაში. ამის უპირველესი დასტურია პროფ. თ. წერეთლის თანაავტორობით გამოქვეყნებული მონოგრაფია „მოძღვრება დანაშაულზე“ (1967 წ.), რომელმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა. მასში განხილულია სისხლის სამართლის ფუნდამენტური პრობლემები.

მან საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა დანაშაულთა ერთობლიობისა და რეციდივის პრობლემაზე, რომელიც 1975 წელს წიგნად გამოიცა. სადოქტორო დისერტაცია სასამართლო პრაქტიკისა და სისხლის სამართლის კანონის ურთიერთობის შესახებ გ. ტყეშელიაძემ ქ. მოსკოვში საკავშირო აკადემიის სამართლის ინსტიტუტში დაიცვა 1982 წელს. ამის შემდეგ იგი აირჩიეს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრის გამგედ. უფრო ადრე იგი მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში უფროს მეცნიერთანამშრომლად, ხოლო შემდგომ მთავრობის აპარატის იურიდიული განყოფილების გამგედ.

მართალია, გ. ტყეშელიაძის ნაშრომები უპირატესად სისხლის სამართლის პრობლემისადმია მიძღვნილი, მაგრამ მათი განხილვა ორგანულადაა შერწყმული სამართლის თეორიის, ფსიქოლოგიის, ეთიკის, სოციოლოგიის საკითხებთან, ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია რუსულ ენაზე გამოქვეყნებული მისი მონოგრაფია სასამართლო პრაქტიკისა და სისხლის სამართლის კანონის ურთიერთობის შესახებ (1975 წ.), ეს პრობლემა ჩვენს ლიტერატურაში პირველად სწორედ მან გააშუქა; დაასაბუთა, რომ სასამართლო პრაქტიკაში ყალიბდება ისეთი დებულებები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ როგორც კანონის სწორი შეფარდების, ისე კანონმდებლობის სრულყოფისა და განვითარებისათვის. ამ ნაშრომზე ვრცელი რეცენზია გამოქვეყნდა უნგრეთის იურიდიულ ჟურნალში. პირველად ჩვენს ლიტერატურაში სწორედ გ. ტყეშელიაძემ გამოარკვია ღირებულების თეორიის (აქსიოლოგიის) თვალსაზრისით, სამართლებრივი ნორმის არსი, სტრუქტურა და დანიშნულება. ამით მან საიმედო გზა დასახა მართლწინააღმდეგობის და დანაშაულის შემადგენლობის მიმართების პრობლემის გადასაწყვეტად.

გ. ტყეშელიაძეს ღრმად ჰქონდა გაცნობიერებული ის უდავო დებულება, რომ სწავლული იურისტი არ შეიძლება იყოს მხოლოდ თეორეტიკოსი, რომლისთვისაც განყენებულ თეორიულ კონსტრუქციებს თავისთავადი მნიშვნელობა აქვს. თეორიულ, იურიდიულ კონსტრუქციებს მხოლოდ მაშინ აქვს აზრი და ღირებულება, თუ ისინი მჭიდროდ უკავშირდება სოციალურ პრაქტიკას. ამის დასტურია გ. ტყეშელიაძის მონოგრაფიები და საჟურნალო სტატიები, რომელთა რიცხვი 100-ს აჭარბებს. პრაქტიკასთან კავშირის დამადასტურებელია გ. ტყეშელიაძის მუშაობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის თავმჯდომარედ. დღესაც არ დაუკარგავს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ვლადიმერ მაყაშვილთან ერთად გამოცემულ ნაშრომს, რომელიც მექრთამეობისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას შეეხება (1964 წ.).

რასაკვირველია, უნდა მოვიხსენიოთ გ. ტყეშელიაძის პედაგოგიური მოღვაწეობა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მისი ლექციები და სემინარები ახალგაზრდობის დიდ ინტერესს იწვევდა. გ. ტყეშელიაძის მოხსენებები და გამოსვლები საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე გამოირჩეოდა პრობლემის ორიგინალური გაშუქებით. სამაგალითოდ მოსახსენიებელია გერმანულ ენაზე სამეცნიერო კრებულში გამოქვეყნებული მისი ნაშრომი, რომელიც მოსამართლის შეხედულებას შეეხება.

გ. ტყეშელიაძე უპირატესობას იურისტის ზნეობრივ პრინციპებს ანიჭებდა. მას ღრმად სწამდა, რომ ადამიანი ვერ გახდება ჭეშმარიტი იურისტი, თუ იმთავითვე არ ჩამოყალიბდა როგორც სანიმუშო მოქალაქე, სპეტაკი მსახური სამართლიანობისა.

ბატონი გიორგის პიროვნებაში ერთნაირად იყო შერწყმული დიდი მეცნიერისა და გამორჩეული ადამიანის თვისებები. იგი იუმორის უზადო ნიჭით იყო დაჯილდოებული. იგი იყო შესანიშნავი მეუღლე, მამა და მეგობარი. მას განსაკუთრებით უყვარდა ზრუნვა მოწაფეებზე. ერთ რამედ ღირდა იმის ცქერა, თუ რამხელა სიხარულს ანიჭებდა მისი მოწაფეების წარმატება.

კოლეგები, მოწაფეები და მეგობრები ქედს იხრიან ბატონი გიორგის პიროვნების წინაშე.

ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი.

◎ ალიან-ჩალიანი

## მერიასთან ბიბლიოთეკარებმა აქცია გამართეს

**თბილისის მერიას — „ნუ დახურავთ ბიბლიოთეკებს!“**

აქციაში 30-ზე მეტი ბიბლიოთეკარი მონაწილეობდა. მათი ინფორმაციით, 40 ბიბლიოთეკა უნდა დაიხუროს. ბიბლიოთეკარები ქალაქის ხელისუფლებისგან აღნიშნული საკითხვის გარკვევას ცდილობდნენ. ამ მიზნით აქციის მონაწილეთა ექვსი წარმომადგენელი შეხვდა სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელ მამუკა ქაცარავას. ამ შეხვედრის შემდეგ ბიბლიოთეკარებმა განაცხადეს, რომ არასწორად იყვნენ ინფორმირებული და ბიბლიოთეკებს გაუქმება არ ემუქრებათ.

## საქართველოში ნალექიანი ამინდები შენარჩუნდება

**მიმდინარე კვირას საქართველოს ტერიტორიაზე ნალექიანი ამინდები შენარჩუნდება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრიდან სვეტლანა ნიორაძემ აცნობა, წუხელ ღამით თბილისში -ნ გრადუსი ყინვა დაფიქსირდა.** ყველაზე ძლიერი ყინვა კი, შიდა ქართლის რეგიონში, კერძოდ, აგარაში იყო -11 გრადუსი. ძლიერი ყინვა დაფიქსირდა გუშინ ღამით საგარეჯოშიც -10 გრადუსი.

18 დეკემბერს აღმოსავლეთ საქართველოში ყინვები შენარჩუნდება. თბილისში - 1 გრადუსია მოსალოდნელი.

19 დეკემბერს აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონებში, მათ შორის თბილისში იქნება მცირე თოვლი, მოსალოდნელია ღამით ყინვა -3 გრადუსი, დღისით +5 გრადუსი.

20 დეკემბერს ზოგიერთ რაიონში წვიმა იქნება, მთაში კი — თოვლი. თბილისში ღამით ყინვა შემცირდება და -1 გრადუსი იქნება.

სინოპტიკოსების პროგნოზით, მიმდინარე კვირის ბოლომდე ქვეყნის ტერიტორიაზე ნალექიანი ამინდები შენარჩუნდება. დასავლეთ საქართველოში წვიმა იქნება, აღმოსავლეთში კი — თოვლი.

ინტერპრესნიუსი

---

**მეუღლე ნუნუ ხარებავა, შვილები მაია, ზურაბ ხუციძეები, შვილიშვილი ელენე დუმბაძე, სიძეები დათო დუმბაძე, გიორგი ალასანია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ვახტანგ (წოპე) ხუციძე**

**პანაშვიდი 16, 17 XII, 16 სთ. მის: დ. წყნეთი, საakaძის 13 ა. გამოსვენება 18 XII, 14 სთ. დიდუბის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიიდან.**

---

**ედუარდ შევარდნაძე, მანანა, პაატა შევარდნაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ მაია ხუციძეს და დავით დუმბაძეს მამისა და სიმამრის, თვალსაჩინო მეცნიერისა და ღირსეული მოქალაქის**

**ვახტანგ ხუციძის**

**გარდაცვალების გამო.**

---



**საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით იუწყება პლასტიკური ქირურგიის ფუძემდებლის, თვალსაჩინო მეცნიერის, ჭეშმარიტი მამულიშვილის**

**ვახტანგ (წოპე) ხუციძის**

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

**მერაბ ბერძენიშვილი**

---

**სნევი, რევაზ თევზაძეები ოჯახის წევრებთან ერთად ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სამედიცინო საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი და შესანიშნავი პიროვნება ბატონი**

**ვახტანგ ხუციძე**

**და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს და უახლოეს ნათესავებს.**

---

**ედუარდ შევარდნაძე, მანანა, პაატა შევარდნაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ რეზო და გოგი ცაგარეიშვილებს დედის, ღირსეული ქალბატონის**

**რაისა ცაგარეიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ღრმა მწუხარებით იუწყება დამსახურებული ექიმის, სათნო ქალბატონის**

**რაისა ცაგარეიშვილის**

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

---

**მეუღლე ნიალა არეშიძე, შვილები ზურაბ, ალიკო, ნინო, ნათია საყვარელიძეები, რძალი თინა სიმონიშვილი, სიძე გიორგი მახარაძე, შვილიშვილები ზურაბ კორძაია, ელენე, მარიამ, ავთო, ნიალა, ვასიკო საყვარელიძეები, რომან, ლადო მახარაძეები იუწყებიან**

**ავთანდილ მიხეილის ძე საყვარელიძის**

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19 XII, მის. ალ. ყაზბეგის 25ა, II სადარბაზო, VII სართული. დაკრძალვა 20 XII, 14 სთ. საბურთალოს სასაფლაოს ეკლესიიდან.**

---

**რომან მახარაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა**

**ავთანდილ მიხეილის ძე საყვარელიძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**საქართველოს არქიტექტორთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი**

**სოლომონ (სულიკო) კაციტაძე**

**პანაშვიდი 18, 19 XII, 17 სთ. გამოსვენება 20 XII, 14 სთ. მისამართი: გამრეკელის (ყოფილი კუტუზოვის) ქუჩა, კორპუსი I, სადარბაზო II, სართული IV.**

◎ ინფორმაცია

## იური მეჩითოვს კულტურის სამინისტროში ადგილი ვერ უპოვნეს!

**იური მეჩითოვი მიიჩნევს, რომ მის წინააღმდეგ მიზანმიმართული და კოორდინირებული კამპანია განხორციელდა.**

**როგორც იური მეჩითოვმა გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ვიდეოჩანაწერთან დაკავშირებით, რომელშიც ის უკრაინელ ჟურნალისტს ესაუბრებოდა, ქართულად გახმოვანებული ტექსტი არასწორად იყო თარგმნილი, ხოლო თარგმნის ბეჭდურ ვერსიაში არარსებული კითხვები და პასუხები იყო.**

**— ის უწყინარი ვიდეო წელიწადნახევარი იდო სოციალურ ქსელში და დიდად არავის არ აწუხებდა. იგივე სურათები ჩემი ხელით არის დადებული ჩემსავე ოფიციალურ საიტზე და ამაში არაფერ საძრახისს არ ვხედავ. ეს ყველაფერი კოორდინირებულ კამპანიას ჰგავდა. მე რომ იურიდიულად უფრო მომზადებული ვყოფილიყავი, უნდა მეჩივლა. მე კანონი არ დამირღვევია. ანეკდოტის გათანაბრება პოლიტიკურ განცხადებასთან მხოლოდ დამახინჯებულ ჭკუაში შეიძლება ჩნდებოდეს, — აცხადებს მეჩითოვი.**

**მისი თქმით, კულტურის სამინისტროში მას, ჯერჯერობით ადგილი ვერ უპოვნეს...**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## დაიჯესტი

### შემოდგომის ალერგია

**ალერგიას ზოგჯერ XXI საუკუნის ავადმყოფობას უწოდებენ. ამასთან, ცნობილია უამრავი სახეობის ალერგია, თანაც დროდადრო მისი ახალი ტიპებიც ჩნდება.**

ახლახან კიდევ ერთი მათგანი გამოავლინეს – ესაა... შემოდგომის ალერგია. თუკი წლის ამ დროს სურდო შეგეყარათ, ნუ იჩქარებთ ამის გაციებაზე გადაბრალებას. შემოდგომაზე ჰაერში უამრავი ალერგენია – ესენია ფოთლების ლპობის შედეგად გაფრქვეული ობის სპორები, მტვრის ტკიპები და ა.შ. ალერგიის სხვა მიზეზებს შორის შეიძლება იყოს ცენტრალური გათბობა: ოთახებში ჰაერის სიმშრალე მრავალი სნეულების, მათ შორის ასთმის, ეგზემისა და სურდოს პროვორცირებას ახდენს.

### პენალტია, პენალტი!

**ლივერპულის ჯონ მურსის სახელობის უნივერსიტეტის მეცნიერებმა საფეხბურთო პენალტის იდეალური ფორმულა გამოიანგარიშეს.**

საამისოდ მკვლევარებმა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმების ათასობით ვიდეოჩანაწერი შეისწავლეს და, საგანგებო კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით, გატანილი პენალტების მახასიათებლები შეისწავლეს. აღმოჩნდა, რომ თერთმეტმეტრიანი დარტყმის წარმატების საკვანძო ფაქტორებია ბურთის სიჩქარე და მიმართულება.

– ბურთი აუცილებლად გაეხვევა ბადეში, თუკი მისი სიჩქარე საათში არანაკლებ 105 კილომეტრი

იქნება, მიმართულება კი ზედა და გვერდით ძელებისგან ნახევარ-ნახევარი მეტრით იქნება დაშორებული, – ამბობს სპორტისა და ფიზიკური ვარჯიშის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი ტიმ ქეიბლი. – გამორბენის ნაბიჯების იდეალური ოდენობა ოთხიდან ექვსამდეა, რადგან ძალიან გრძელ გამორბენას საქმის გაფუჭება შეუძლია. ამასთან, დარტყმისთვის მომზადების დრო სამ წამს არ უნდა აღემატებოდეს. ბურთთან კი ფეხბურთელი ბურთსა და კარის ცენტრზე გამავალ ღერძთან 20-30 გრადუსის კუთხით უნდა მივიდეს.

მაშინ გოლიც აუცილებლად იქნება!

### რატომ „გვაყვინთავებს“?

**ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, თუ რატომაა, რომ ოფისების თანამშრომლებს სამუშაო ადგილზე ყოფნისას ხშირად „ეყვინთებათ“, ანუ ეძინებათ.**

ამის მიზეზი, კერძოდ, საოფისე ოთახების ჰაერში ნახშირჟანგის გაზის მაღალი შემცველობაა, რომლის მთავარ წყაროს თავად ადამიანები წარმოადგენენ. გაზის მაღალი კონცენტრაცია კი უარყოფითად მოქმედებს ყურადღების ხარისხსა და აზროვნების სიჩქარეზე. ასეთ პირობებში 4 საათზე მეტ ხანს მომუშავე ადამიანებს აუცილებლად ძილი ერევათ ხოლმე.

### „გიჟური“ გამოცემა

**პეტერბურგის ფსიქიატრიულმა საავადმყოფომ... საკუთარი გაზეთის გამოცემა დაიწყო.**

ყოველკვარტალურ გამოცემა „მაცნეს“ საავადმყოფოს პაციენტები, სამედიცინო პერსონალი და „ფსიქიატრიული დიაგნოზის ზღვარს მიღმა“ მყოფი ადამიანები ამზადებენ. პირველი ნომრის თემა არტთერაპია და „ფსიქიატრიული გამოცდილების“ მქონე პირები გახდნენ. გამოცემაში საავადმყოფოს პაციენტების ესეები და ნახატები, ასევე ფსიქოთერაპევტთა წერილებია მოთავსებული.

### ახლა კიდევ სელაპები...

**კაცობრიობას ახალი საფრთხე – სელაპის გრიპი ემუქრება.**

მეცნიერებმა ფრინველის გრიპის (H3N8) ახალი შტამი გამოყვეს, რომელიც სელაპების მასობრივი დახოცვის მიზეზი გახდა. ღორისა (H1H1) და ფრინველის (H5H1) გრიპების ეპიდემიების ისტორიების ანალიზის შედეგად მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ სელაპის გრიპი კაცობრიობისთვის პოტენციურად ძალიან დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

### მიტევების მადლი

**ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ იმ ხალხს, ვისაც გარშემო მყოფთაგან რაღაც-რაღაცეები ნაკლებად სწყინთ, „ბუტიებთან“ შედარებით წნევა გაცილებით სტაბილური აქვთ.**

ამ განსაკუთრებით ლმობიერ ხალხს ნერვულ ტიპებთან შედარებით გაცილებით ნაკლებად ემართებათ ინფარქტები და ინსულტები. მკვლევარები ხაზს უსვამენ იმას, რომ ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა არა თავად უსიამოვნებათა ფაქტების იგნორირება, არამედ წყენის დაძლევა და დამნაშავე პირის პატიება, ანუ ისევ ქრისტიანულად მიტევება.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ყურადღებიანი გაზეთებიდან

### შალვა ოგბაიძე „ძრონიკას“ სკანდალურ ფაქტებს უმხელს

**იგი ყვება დღემდე გაუხმაურებელ ფაქტებს და დეტალებს, რომელიც საზოგადოებამ უნდა იცოდეს. სასურველი იქნება, თუკი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო და ევროპული ქვეყნების საელჩოები მსგავსი ტიპის სტატიებს კარგად წაიკითხავენ, თარგმნიან და თავიანთ პატრონებს გაუგზავნიან, რათა შემდგომ ისეთი სულელური შეცდომები არ დაუშვან მათმა სენატორებმა და მედიასაშუალებებმა, რასაც ახლა ისინი აკეთებენ დიდი ფულის სანაცვლოდ და ქართველ ხალხს ტვინის გამორეცხვის მეთოდით გვაიძულებენ, სააკაშვილის 9-წლიანი ტოტალური რეჟიმი გადავყლაპოთ.**

**„ძრონიკა“**

### გიორგი ტუღუშსა და მის მოადგილეს ყოფილი თანამშრომლები ომბუდსმენის მოადგილეს უპირისპირდებიან

**სახალხო დამცველის ოფისის ყოფილი თანამშრომლები ომბუდსმენის მოადგილეს უპირისპირდებიან და ამბობენ, რომ მათი განთავისუფლება ტატიანა ხუნწარიას პირადი დაინტერესებით ხდებოდა, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს კი ტუღუში ვერ ცვლიდა. თუმცა, ხუნწარია ამას კატეგორიულად უარყოფს და ამბობს, რომ ისინი დაკისრებულ მოვალეობას ვერ ასრულებდნენ და მათი განთავისუფლება ამის გამო მოხდა.**

**„რეზონანსი“**

### „ჩემი დაბრუნება ივანიშვილთან შეთანხმებული არ ყოფილა“

**– ეუბნება ირაკლი ოქრუაშვილი „კვირის პალიტრის“ კორესპონდენტს და ბევრ სხვა ამბებსაც ჰყვება; – ბავშვებს 5 წელია საქართველო არ უნახავთ, პატარა საფრანგეთში დაიბადა და ნამყოფიც არ არის აქ, რაც უნდა მოუყვე, რა წიგნიც უნდა იკითხო, თუ თავისი თვალით არ ნახა, ასე ვერ გაიგებდა, საქართველო რა არის. ბოლო პერიოდში ორივემ ფრანგული აქცენტი გამოურია ქართულში და ვისთვისაც ეს ყველაფერი ნაცნობია და გასაგები, იმასაც კარგად მიხვდება, თუ რატომ ვჩქარობდი... გეტყვით, რომ გაზაფხულზე ოჯახში შემომატებას ველით და ვფიქრობდით, რაც მალე დავბრუნდებოდით და მალე მოვაგვარებდი ჩემს პრობლემებს, მით მალე გადმოვიყვანდი ოჯახს, თუმცა, პროგნოზში ოდნავ შევცდი.**

**„კვირის პალიტრა“**

### ხელისუფლება ბორდელებს დაეერია

**გონიოში, ამ ბორდელებში ძირითადად შუააზიელი გოგონები საქმიანობდნენ. მათ ერთი პირობა ჰქონდათ წარდგენილი, რომ მხოლოდ თურქ კლიენტებს უნდა მომსახურებოდნენ. ერთმა გოგონამ თავი მოიკლა. გონიოს ბორდელების გამო ხმაური სწორედ ამის შემდეგ ატყდა.**

**ამ სპეცოპერაციით ხალხმა დიდად იხალისა, მეორე მხრიდან თუ შევხედავთ, სულაც არ არის ეს სახალისო თემა.**

**„ახალი თაობა“**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

**– რატომ ხართ ასეთი მოწყენილი?**

**– მარტო მოწყენილი? – საშინელ დღეში ვარ!**

**– რატომ?**

**– დღეს ცოლს დავხვდი მატარებელზე, მაგრამ არ ჩამოვიდა. შიში მზაფრავს, რომ ის, შესაძლოა, უკვე გუშინდღიდან იყოს სახლში.**

* * *

**ღმერთმა მამაკაცი შექმნა თავის მსგავსად და ხატად თავისად, ქალი კი – თავისი გემოვნების მიხედვით.**

* * *

**– ერთი კვირის წინათ ჩემს ცოლს თვალში ხიწვი მოხვდა. იძულებული გავხდი, რომ ექიმთან წამეყვანა, რაც ათი დოლარი დამიჯდა, – ეუბნება ტიპი ძმაკაცს.**

**– ეს რა არის! ახლახან ჩემს ცოლს თვალში ბრილიანტის ბეჭედი მოხვდა, რაც სამასი დოლარი დამიჯდა.**

* * *

**– ახალგაზრდავ, ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ დღეს ჩემი ქალიშვილი სახლში ადრე დაბრუნდეს, – ეუბნება მკაცრი დედა თავის სასიძოს.**

**– ნუ ინერვიულებთ. მე პირადად ჩავაწვენ მას საწოლში ათ საათზე.**

* * *

**საავადმყოფოს დერეფანში, საოპერაციოს სიახლოვეს, ნერვიული ნაბიჯებით დადის მამაკაცი. ერთი საათი, მეორე, მესამე... ბოლოს საოპერაციოს კარი იღება, გამოდის ქირურგი და მწუხარე სახით ეუბნება მამაკაცს:**

**– ცუდი ახალი ამბავი მაქვს თქვენთვის. რთული ოპერაციის მესამე საათზე დედათქვენი...**

**– ის ჩემი დედა კი არა, სიდედრია! – მოუთმენლად აწყვეტინებს მამაკაცი.**

**– მაშინ თქვენთვის კარგი სიახლე მაქვს. რთული ოპერაციის მესამე საათზე...**

## კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერეულაკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com